



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების
პრიორიტეტების დოკუმენტი

შესავალი

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარება ძირითადად ეფუძნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პოლიტიკას, თავისუფალი ბაზრის პრინციპებს. მუნიციპალიტეტის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პანდემიით დაზარალებული ბიზნესის აღდგენასა და შემდგომ გაფართოებას, აღნიშნულიდან გამომდინარე ყურადღება დაეთმობა ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებას, როგორც ეკონომიკური ზრდის მასტიმულირებელ ფაქტორს.

გრძელვადიანი და მაღალი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად, ადგილობრივი ხელისუფლება იმუშავებს ეკონომიკის სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე და ეკონომიკის ფაქტორების, ასევე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული რესურსების მაქსიმალურ ჩართვაზე ეკონომიკურ აქტივობაში, ძირითადად ეს გულისხმობს ტურისტული პოტენციალის წარმოჩენას და ტურისტული ზონების ხელშეწყობას ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო მხარდაჭერის კუთხით.

ასევე, განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას, სოციალური და სამედიცინო პროგრამების მეშვეობით.

ამასთან, აქტიურად გაგრძელდება შესაბამისი მუნიციპალური ინსტიტუტების მუშაობის ხარისხობრივი გაუმჯობესება, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის პოლიტიკის ეფექტიანად განხორციელებას.

დაგეგმილია მუნიციპალიტეტის კომპეტენციის სფეროში, დარგში, მიმართულებაში გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტს საფუძვლად დაედო საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 34-ე მუხლის მე-4 ნაწილის მოთხოვნათა გათვალისწინებით საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს პარლამენტში

წარდგენილი ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური და ფისკალური პარამეტრების დოკუმენტი და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებული წერილი 2024 საბიუჯეტო წლის ძირითად საბიუჯეტო პარამეტრების შესახებ.

თავი I . ზოგადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

მდებარეობა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, როგორც ადმინისტრაციულ – ტერიტორიული ერთეული შედის გურიის მხარეში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მდინარეების ბჟუჟის, ნატანებისა და სუფსის ხეობებში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტს დასავლეთით ესაზღვრება შავი ზღვა, სამხრეთით აჭარა-გურიის ქედი, მდინარე ჩოლოქი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა. აღმოსავლეთით ჩოხატაურის, ხოლო ჩრდილოეთით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი.

მმართველობის ორგანოები

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში არის 30 ტერიტორიულ - ადმინისტრაციული ერთეული - 76 განსახლების ადგილით. ესენია: 1 ქალაქი, 5 დაბა - ლაითური, ნარუჯა, ურევი, ნასაკირალი, გომისმთა და 24 თემი - ბაილეთი, ბახვი, ბოხვაური, გურიანთა, დვაბზუ, ვაკიჯვარი, ლიხაური, მაკვანეთი, მერია, მთისპირი, ნაგომარი, ნატანები,

შემოქმედი, შრომა, ცხემლისხიდი, ძიმითი, ჭანიეთი, ჯუმათი, თხინვალი, კონჭკათი, მელექედური, სოფ. ოზურგეთი, სილაური, ასკანა.

ფართობი და გზების სიგრძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ფართობი შეადგენს 643,07 კმ², რაც ქვეყნის საერთო ტერიტორიის (69 700 კმ²) 0,9 %-ია. ხოლო გურიის რეგიონის ტერიტორიის 22% -ს შეადგენს. ქალაქ ოზურგეთის ფართობი შეადგენს 22,11 კმ² სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს უკავია 270 კმ².

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1407,8 კმ-ს, მ. შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 247,8 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,7კმ-ს, ბეტონის საფარიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 57კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1108,8 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგებს 63,8 კმ-ს.)

ქალაქ ოზურგეთი წარმოადგენს გურიის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს, რომელიც დედაქალაქ თბილისიდან დაშორებულია 325 კმ-ით, ბათუმიდან 60 კმ-ით, ფოთიდან 45 კმ-ით, ქუთაისიდან 90 კმ-ით.

მანძილი ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ბათუმის პორტამდე 49,6 კმ-ია, ბათუმის აეროპორტამდე 57,5 კმ, ბათუმის სარკინიგზო სადგურამდე 51,5 კმ.

მანძილი ფოთის პორტამდე 49 კმ-ია, ქუთაისის აეროპორტამდე მანძილი 68,1 კმ-ია.

ქ. ოზურგეთის ცენტრიდან ქალაქ თბილისის აეროპორტამდე მანძილი 329 კმ-ია, თბილისის სარკინიგზო სადგურამდე 312 კმ.

მუნიციპალიტეტს დასავლეთიდან 20 კილომეტრის სიგრძის მანძილზე შავი ზღვა აკრავს.

მოსახლეობის რაოდენობა

დემოგრაფიული მდგომარეობის ასახვისათვის წარმოდგენილია საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული შედეგები, რომლის თანახმადაც მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 62 863-ს. მოსახლეობის 49,6% - მამაკაცია (31 186 კაცი) და შესაბამისად 50,4% - ქალი (31 677 ქალი). ამასთან, ადგილობრივი მოსახლეობის 23,5 % (14 785 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო დანარჩენი 76,5% - დაბებსა და თემებში (48 078 ადამიანი).

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულია 6 წლამდე ასაკის 4 420 ბავშვი, 6-დან 18 წლამდე 8 277 მოზარდი (მათ შორის ვაჟი - 3 960, გოგონა - 4 317), პენსიონერთა რაოდენობა არის 15 174. მოსახლეობის სიმჭიდროვე 85,7 კაცი/კვ.კმ.-ზე.

სოციალურად დაუცველთა რაოდენობა

სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული საარსებო შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა არის 2803, საარსებო შემწეობის მიმღებ პირთა რაოდენობაა 11220.

მაღალმთიანი დასახლებები

ოფიციალურად მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში შეტანილია დაბა გომისმთა, რომელსაც მაღალმთიანი დასახლების სტატუსი საქართველოს მთავრობის 2020 წლის 17 ივლისის #447 დადგენილებით მიენიჭა (ცვლილება საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის #671 დადგენილებაში).

ბიუჯეტის მოცულობა (მიმდინარე 2023 წელი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 70 273,5 ათ. ლარის ოდენობით. ბიუჯეტის შემოსულობების 54,1%-ი მოდის მუნიციპალიტეტის საკუთარ შემოსავლებზე, მათ შორის აღსანიშნავია დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების დიდი ნაწილი 61.3 % (43,07 მლნ ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები მოცულობა მთლიან შემოსულობებში შეადგენს 38.7 %-ს (27193.6 ათ. ლარი) და იგი ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი და კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა დელეგირებული უფლებამოსილების და ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად. ბიუჯეტის გადასახდელები საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხის ჩათვლით

შეადგენს 70 273.5 ათას ლარს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება 6 პრიორიტეტის და წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება.

სხვა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ბუნებრივი პირობების მიხედვით ორ, ბარისა და მთის ნაწილად იყოფა. ბარის ტერიტორიაზე არის საზღვაო კურორტების განვითარების პოტენციალი, ხოლო მთის ტერიტორიებზე სამთო კურორტების განვითარების შესაძლებლობა. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ოთხი დასახლებული პუნქტი ასკანა (მზიანი), მთისპირი, ჯუმათი, შემოქმედი, გომისმთა შედის მაღალმთიან ზონაში. ტერიტორიის ნაწილი (ნატანები, შრომა, კონჭკათი, თხინვალი, მერია, მთისპირი, ძიმითი, ასკანა, ჯუმათი) მოქცეულია მეწყრულ ზონაში, სადაც მაღალია სტიქიური კატასტროფების რისკი.

საქართველოს პრეზიდენტის #669 ბრძანებულებით (საქართველოს კურორტებისა და საკურორტო ადგილების ნუსხის შესახებ/1998) მინიჭებული აქვს კურორტის სტატუსი გომის მთას (კურორტის ტიპის კლიმატური პროფილაქტიკური); 2014 წლის 18 ივნისის #407 დადგენილებით საქართველოს მთავრობამ „ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟჰესი გომისმთის“ საავტომობილო გზას მიანიჭა შიგა სახელმწიფო მნიშვნელობის გზის სტატუსი შ-47; 2020 წლის 21 მაისის საქართველოს მთავრობის #825 გადაწყვეტილებით გომისმთას მიენიჭა დაბის სტატუსი.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მოიპოვება ბენტონიტური თიხა, რომლის მარაგი 10 მლნ ტონაზე მეტია. 2016 წლიდან ოზურგეთში მოქმედებს თიხის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმო, რომელიც პროდუქციის რეალიზაციას ახდენს ექსპორტზე. საქართველოში აპატიტი მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტშია (სოფ. ვაკიჯვარი), სადაც ქანები 7-10% აპატიტს შეიცავს. ამავე სოფლის ტერიტორიაზე არის წითელი რკინის მადანი. აქვეა აღმოჩენილი სპილენძის ბუდობები, მცირე ოდენობით ტყვია, ვერცხლი და თუთია. კაოლინის საბადოა სოფელ მაკვანეთში, სადაც კაოლინის ფენის სიმძლავრე 0.4-დან 11 მეტრამდეა. სოფ. შემოქმედსა და გომში არის სიენიტების საბადო (სიენიტი მაგმური ქანია, რომელიც გრანიტს წააგავს და საუკეთესო საშენი მასალაა). ოქროს საბადოა სოფ. ნაგომარში, რომელიც გამოიყენება მინერალური საღებავების დასამზადებლად. ქვიშა-ხრემის საბადოებია ოზურგეთის ტერიტორიაზე. მარაგები დამტკიცებულია როგორც ბეტონის შემავსებლის და საამშენებლო ხსნარის ნედლეული, რომელიც პასუხობს სტანდარტულ მოთხოვნებს. აღნიშნული რესურსები არ არის დათვლილი და ამდენად, უცნობია ადგილობრივ ეკონომიკაზე მათი შემდგომი ზემოქმედების პოტენციალი.

ადგილობრივი ეკონომიკის განვითარების ძირითადი სექტორებია: სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მომსახურება, მშენებლობა, დასასვენებელი და რეკრეაციული მომსახურება, ტურიზმი. თუმცა, ადგილობრივი ეკონომიკის 80%-მდე სოფლის მეურნეობაზე მოდის, კერძოდ, ერთწლიანი მარცვლოვანი კულტურის (ძირითადად სიმინდის) წარმოება, თხილის, თესლოვანი და კურკოვანი ხილი, კივი, ციტრუსის, ჩაის და ხურმის მოყვანა, ასევე მცირე, საოჯახო ტიპის მეცხოველეობა, მეფრინველეობა, თევზის წარმოება, მეფუტკრეობა.

მომსახურების სფეროდან გამოირჩევა სასტუმროების და ინდივიდუალური სასტუმრო სახლების (225 ერთეული) მომსახურება, მათი უმრავლესობა ურეკსა და შეკვეთილშია განთავსებული და ძირითადად ზაფხულის ტურისტულ სეზონზე არის დატვირთული.

ადგილობრივ ეკონომიკაში შემოსავლების მოცულობის წილი გასართობი ბიზნესიდან ჯერჯერობით საკმაოდ მოკრძალებულია, მაგრამ დინამიკაში ეს მაჩვენებელი ზრდადია, რასაც სრული დატვირთვით შეკვეთილში მოქმედი ატრაქციონების პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე 10 000 მსმენელზე დახურული საკონცერტო დარბაზის ამოქმედება განაპირობებს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩაის წარმოების ფაქტობრივი მონაცემები არცთუ ისე მაღალია, სოფლის მეურნეობის აღნიშნული დარგი უაღრესად მნიშვნელოვანია და განვითარების შესაბამისი პოტენციალიც გააჩნია. არსებული პოტენციალის რეალიზაციის მიზნით უკვე გადადგმულია კონკრეტული ნაბიჯები.

მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მიერ 2014 წელს შემუშავებულ იქნა მუნიციპალიტეტში ჩაის რეაბილიტაციის პროგრამა, რომელიც წარედგინა სოფლის მეურნეობის სამინისტროს და აღნიშნული პროექტის წარდგენამ მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი საქართველოს მთავრობის მხრიდან ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის შესახებ მასშტაბური პროექტის შემუშავებას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი ფლობს უნიკალურ კურორტებს როგორც ზღვისპირეთზე, ასევე, ალპურ ზონაში. საქართველოში არსებული ოთხი სარეკრეაციო სტატუს მინიჭებული კურორტიდან ერთ-ერთი - ურეკი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს.

მუნიციპალიტეტის კურორტები საშუალებას იძლევა ზამთარ-ზაფხულ უმასპინძლოს დამსვენებლებს საქართველოდან თუ საზღვარგარეთიდან, რაც ბიუჯეტის ზრდისა და მოსახლეობის დასაქმების ერთ-ერთი მთავარი საწინდარია.

მუნიციპალიტეტის ზღვისპირეთის კურორტებია ურეკი და შეკვეთილი და სამთო კურორტი გომისმთა.

მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალებად ასევე შესაძლებელია მივიჩნიოთ საცხენოსნო და საფეხმავლო და სატრანსპორტო მარშრუტების დაგეგმვა ისტორიულ ძეგლების და მაღალმთიანი ადგილების დასათვალიერებლად.

აუცილებელია ადგილობრივი მოსახლეობის წახალისება ნაციონალური სუვენირების საწარმოებლად. აღნიშნული პროდუქციის რეალიზება მოხდება სასტუმროთა ქსელში, პანსიონატებში, კურორტებზე და სავაჭრო მარკეტებში. ამ მიზნით შესაძლოა ხელი შეეწყოს შესაბამისი მომზადებისა და გადამზადების კურსების მიწოდებას. მომდევნო ეტაპი კი შესაძლოა იყოს საერთაშორისო თუ სახელმწიფო ფონდების დახმარებით მცირე ზომის საწარმოების ფორმირება-განვითარება.

2019 წლიდან საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ მუნიციპალიტეტების დეცენტრალიზაციის სტრატეგიის ფარგლებში გადადგმულმა ნაბიჯება (საბიუჯეტო კოდექსში განხორციელებული ცვლილება, რის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში რჩება დამატებული ღირებულების გადასახადის გარკვეული ნაწილი) მნიშვნელოვნად გაზარდა მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები. მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს აქვს საშუალება საკუთარი შემოსავლებით გარკვეულწილად დამოუკიდებლად უზრუნველყოს თავისი ექსკლუზიური უფლებამოსილებები, იგი მაინც საჭიროებს კაპიტალური პროექტების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტის დახმარებას. მაგალითად, 2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ამ მიზნით გამოყოფილმა სახსრებმა მთლიანი ბიუჯეტის 38.7 % შეადგინა. აღნიშნული კი მეტყველებს იმაზე, რომ მუნიციპალიტეტმა, რომ განახორციელოს თავისი ინსტიტუციური, სოციალური და ეკონომიკური ფუნქციები, დამოკიდებული არ არის მხოლოდ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკურ ზრდაზე, არამედ მთელი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე და მთლიანი შიდა პროდუქტის განაწილების წესზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მონაცემების შედარება ქვეყნისა და რეგიონის მონაცემებთან 2021 წლის მონაცემების მიხედვით								
დასახელება	მოსახლეობა (ათასი)	ფართობი (კვ.კმ)	საკუთარი შემოსავლები (ათასი ლარი)	გადასახდელები (ათასი ლარი)	ნომინალური მშპ (ათასი ლარი)	მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ლარი)	უმუშევრობის დონე (%)	რეგისტრირებული ეკონომიკური სუბიექტები
სულ საქართველო	3 728,6	69 700,0	12 549 500,0	14 232 059,0	60 000,0	16 179,5	20,6	709 729,0
გურიის რეგიონი	107,1	2 033,2			1 002,0	9 337,1	16,4	18 241,0
ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	62,9	643,1	26 643,3	36 661,3	650,3	10 333,8	16,4	11 674,0
% რესპუბლიკასთან მიმართებაში	1,7	0,9	0,3	0,3	1,1	64,1	-	1,6
% რეგიონთან მიმართებაში	58,7	31,6			64,9	102,0	-	64,0

თავი II . ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

2.1 შემოსავლების და ხარჯების აგრეგირებული მაჩვენებელი

შემოსულობები და ხარჯები

საშუალოვადიან პერიოდში საბიუჯეტო შემოსულობების პროგნოზული გათვლებისას, გათვალისწინებულ იქნა 2024-2027 წლებისათვის ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის პირველადი ვარიანტით განსაზღვრული მაკროეკონომიკური და ფისკალური მონაცემები. ასვე ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების შემოსულობების პროგნოზი საშუალოვადიან პერიოდში. დღგ-დან შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები დათვლილია საბიუჯეტო კოდექსის 71-ე მუხლის შესაბამისად.

მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის შემოსავლებისა და ხარჯების საპროგნოზო აგრეგირებული მაჩვენებლები განისაზღვრა შემდეგნაირად:

ზრდა	-	-	-	-	-	-
კლება	-	-	-	-	-	-
ვალდებულებების ცვლილება	(114,90)	(114,90)	(114,90)	(114,90)	(114,90)	(114,90)
ზრდა	-	-	-	-	-	-
კლება	114,90	114,90	114,90	114,90	114,90	114,90
ბალანსი	-	-	-	-	-	-

გადასახდელები

ბოლო წლებში არსებული სტრატეგიის შესაბამისად პრიორიტეტულ მიმართულებებზე მიმართული სახსრების ზრდამ შესაძლებელი გახადა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარება, რითაც თავის მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტში ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარება.

ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით 2024-2027 წლებში მუნიციპალიტეტის სტრატეგია თითქმის უცვლელია და მოიცავს ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას და სკოლამდელი განათლების ხელშეწყობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

			სახე ელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები		სახ ელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	3 6 283,1	61260,46	30 116,96	31143,50	59796,94	28 105,35	31691,59
გადასახადები	1 8 084,2	27640,00	-	27640,00	28703,28	-	28703,28
გრანტები	1 6 201,5	30412,66	30 116,96	295,70	28401,08	28 105,35	295,73
სხვა შემოსავლები	1 997,4	3207,80	-	3207,80	2692,58	-	2692,58
II. ხარჯები	2 0058,5	29311,48	3 054,54	26256,94	28979,99	4 322,07	24657,92
შრომის ანაზღაურება	3 336,2	3816,94	123,51	3693,44	3353,93	91,45	3262,48
საქონელი და მომსახურება	2 370,2	3933,10	31,50	3901,60	3614,75	30,42	3584,33
	7 4,0	95,10	-	95,10	56,99	-	56,99
სუბსიდიები	1 2129,3	16 029,40	136,60	15892,80	15653,08	133,70	15519,39
გრანტები	5 0,0	115,00	-	115,00	115,00	-	115,00
სოციალური უზრუნველყოფა	8 94,9	1312,00	-	1312,00	1235,16	5,55	1229,61
სხვა ხარჯები	1 203,9	4009,93	2 762,93	1247,00	4951,06	060,95 ⁴	890,11
III. საოპერაციო საღლო	1 6224,6	31948,9 8	27062,42	4886,56	30816,96	23783,28	7033,67

შემოსულ ობები	3 9886,9	61660,46	30 116,96	31543,50	62593,53	28 105,35	34488,18
შემოსავ ლები	3 9541,68	61260,46	30 116,96	31143,50	59796,94	28 105,35	31691,59
არაფინან სური აქტივების კლება	3 45,2	400,00	-	400,00	2796,58	-	2 796,58
გადასახ დელები	3 6661,25	66592,02	33 195,15	33396,87	48298,21	18 146,76	30151,45
ხარჯები	2 1475,98	29311,48	3 054,54	26256,94	28979,99	4 322,07	24657,92
არაფინან სური აქტივების ზრდა	1 5070,41	37280,55	30 140,61	7 139,93	19318,23	13 824,69	5 493,54
ვალდებ ულებების კლება	1 14,9	1 14,9	0,0	114, 9	1 14,9	0,0	114, 9
ნაშთის ცვლილება	3 225,611	(5046,46)	(307 8,19)	(196 8,27)	14295,31	9 958,59	4 336,72

ა) საგადასახადო შემოსავლები

დასახე ლება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
		ს ულ	მათ შორის		ს ულ	მათ შორის	
			სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები		სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები
გადასახ დელები	23 596,7	27640,00	-	27640,00	28703,28	-	28703,28
ქონების გადასახადი	6 997,3	20300,00	-	20300,00	20532,65	-	20532,65

საქართველო საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4 691,8	7340,00	-	7 340,00	8170,63	-	8 170,63
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	101, 2	6240,00	-	6 240,00	5776,91	-	5 776,91
სასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	487, 6	300,00	-	300,00	110,22	-	110,22
არასასოფ ლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1 716,6	400,00	-	400,00	485,74	-	485,74
სხვა გადასახადები (დღგ)	1659 9,486	400,00	-	400,00	1796,03	-	1 796,03

ბ) გრანტები

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	აკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13 383,6	30 412,7	30 117,0	95,7	28 401,1	28 105,4	295,7
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	140,0	295,7	0,0	95,7	295,7	0,0	295,7
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	13 243,6	30 117,0	30 117,0	,0	8 105,4	28 105,4	0,0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1 517,5	15 631,3	15 631,3	,0	3 619,7	13 619,7	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	250,0	280,0	28 0,0		80,0	280,0	
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების	1 267,5	15 351,3	15 351,3		3 339,7	13 339,7	

დასაფინანსებლად							
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	11 726,1	14 485,7	14 485,7	,0	1 4 485,7	14 485,7	0,0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	9 140,1	8 184,7	8 184,7		8 184,7	8 184,7	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1 086,0	1 086,0	1 086,0		1 086,0	1 086,0	
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები	1 500,0	5 215,0	5 215,0		5 215,0	5 215,0	

გ) სხვა შემოსავლები

დასახელება	021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
		ულ	მათ შორის		ულ	მათ შორის	
			სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები		სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	561,4	207,8	0,0	3 207,8	692,6	0,0	2 692,6
შემოსავლები საკუთრებიდან	35,1	00,0	0,0	500,0	89,1	0,0	389,1

საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	33,0	20,0	0,0	420,0	17,8	0,0	417,8
ჯარიმები, სანქციები და საურავები	563,0	987,8		987,8	855,8		855,8
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	30,3	00,0		300,0	0,0		30,0

დ) არაფინანსური აქტივების კლება

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
არაფინანსური აქტივების კლება	345,2	00,0	0,0	400,0	796,6	0,0	2 796,6
ძირითადი აქტივები	21,7	0,0		50,0	01,9		101,9
არაწარმოებულ აქტივები	323,5	50,0	0,0	350,0	694,7	0,0	2 694,7
მიწა	323,5	50,0		350,0	694,7		2 694,7

ე) ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით

დასახელება	021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა			2022 წლის ფაქტი		
		ულ	მათ შორის		ულ	მათ შორის	
			სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები		სახე ლმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები
ხარჯები	21476,0	29311,48	3 054,54	26 256,94	28979,99	4 322,07	24 657,92
შრომის ანაზღაურება	3295,7	3816,94	123,51	3 693,44	3353,93	91,45	3 262,48
საქონელი და მომსახურება	2927,8	3933,10	31,50	3 901,60	3614,75	30,42	3 584,33
სუბსიდიები	13150,7		-	-		-	-
გრანტები	50,0	95,10	-	95,10	56,99	-	56,99
სოციალური უზრუნველყოფა	1052,4	16029,40	136,60	15 892,80	15653,08	133,70	15 519,39
სხვა ხარჯები	937,5	115,00	-	115,00	115,00	-	115,00

ვ) არაფინანსური აქტივების ზრდა

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
ძირითადი აქტივები	37 280,55	19 318,23	51,81
არაფინანსური აქტივების ზრდა	37 280,55	19 318,23	51,81

ზ) ვალდებულებები

დასახელება	გეგმა	ფაქტი	პროცენტი
საშინაო კრედიტორები	114,9	114,9	100.00
ვალდებულებების კლება	114,9	114,9	100.00

ვალდებულების კლება წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მიერ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენდა 517,2 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იგი არის 402,3 ათასი ლარი. 2022 წელს დასაფარი დავალიანება შეადგენდა 114,9 ათას ლარს.

თ) ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

საანგარიშო პერიოდში ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვრა 14295,31 ათასი ლარის ოდენობით. ფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 14295,31 ათასი ლარი.

ი) ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთები


2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ირიცხებოდა 5046,46 ათასი ლარი, აღნიშნული ნაშთიდან 3078,19 ათასი ლარი შეადგენდა სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხებს, ხოლო 1968,27 ათასი ლარი საკუთარ თანხებს. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ანგარიშზე ნაშთის სახით არის 19238,9 ათასი ლარი, აქედან 11704,7 ათასი ლარი არის სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილ თანხები, ხოლო 7534,2 ათასი ლარი არის საკუთარი თანხები.

კ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

უნქციო ნალური კოდი	დასახელება	2021 წლის გეგმა	2022 წლის გეგმა	2022 წლის ფაქტი
.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5026	6194	5474
.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5026	6194	5474
.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	4676	5844	5342
	ფინანსური და ფისკალური	350	350	132

.1.1.2	საქმიანობა			
.2	თავდაცვა	143	155	127
.21	შეიარაღებული ძალები	143	155	127
.4	ეკონომიკური საქმიანობა	16367	36198	20879
.45	ტრანსპორტი	11210	10240	8509
.451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	11210	10240	8509
.47	ეკონომიკის სხვა დარგები	800	16949	7848
.49	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4357	9009	4522
.5	გარემოს დაცვა	2900	3298	3296
.51	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	2900	3178	3296
.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	1630	4833	3793
.61	ბინათმშენებლობა	178	1598	904
.63	წყალმომარაგება	700	1553	1382
.64	გარე განათება	752	1681	1508
.7	ჯანმრთელობის დაცვა	860	1021	888
.73	საავადმყოფოების მომსახურება	687	836	712
.74	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	173	185	176

.8	7	დასვენება, კულტურა და რელიგია	4766	5840	5599
.81	7	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1940	2416	2370
.82	7	მომსახურება კულტურის სფეროში	2656	3254	3085
.84	7	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	170	170	144
.9	7	განათლება	5738	7995	7274
.91	7	სკოლამდელი აღზრდა	4500	6380	5840
.92	7	ზოგადი განათლება	1238	1615	1434
10	7	სოციალური დაცვა	952	1059	967
102	7	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	15	24	24
104	7	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	937	1035	943
		სულ	38383	66592	48298



შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2021 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 62593,5 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 101,5 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 61660,5 ათ.ლარი).

მათ შორის:

- ქონების გასახადის გეგმა 111,31 %-ით (წლიური გეგმა 7340,0 ათ.ლარი, შესრულება 8170,6 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 101,14 %-ით (წლიური გეგმა 20300,0 ათ.ლარი, შესრულება 20532,7 ათ.ლარი) ;

- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 78,42 %-ით (წლიური გეგმა 400,0 ათ.ლარი, შესრულება 313,7 ათ.ლარი);
- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 75,3 %-ით(წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 75,3 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 72,1 %-ით (გეგმა 150,0 ათ.ლარი, შესრულება 108,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 110,0 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი შესრულება 275,1 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 93,4 %-ით (წლიური გეგმა 1987,8 ათ.ლარი,შესრულება 1855,8 ათ.ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 160,0 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 32,0 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 10,0 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათ.ლარი, შესრულება 30,0 ათ.ლარი); (ახსნა-განმარტება შესრულების დაბალი მაჩვენებლის შესახებ: შემოსავლების აღნიშნულ მუხლში შემოსავლები აკუმულირდება სხვა მიმდინარე ტრანსფერებიდან, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან, ასევე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლო თანხებიდან. რადგან აღნიშნული შემოსავლების განსაზღვრა წინასწარ ზუსტად ვერ ხერხდება, წელი იგეგმება წინა წლების საორიენტაციო გეგმებიდან გამომდინარე).
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 699,15 %-ით (წლიური გეგმა 400,0 ათ.ლარი,შესრულება 2796,6 ათ.ლარი);

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 28401,1 ათ.ლარი, მათ შორის:

ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები – 295,7 ათ.ლარი ;

ბ) მიზნობრივი ტრანსფერი – 280,0 ათ.ლარი ;

გ) ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად – 13339,7 ათ.ლარი;

დ) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 8184,7 ათ.ლარი;

ე) სტიქია - 5215,0 ათ.ლარი;

ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 1086,0 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)


ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს **66706,92** ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 48413,11 ათ. ლარი წლიური გეგმის 72,57 % -ია.

ორგ.კოდი	დასახელება	021	2022 წლის გეგმა				2022 წლის ფაქტი		
		წლის ფაქტი	მათ შორის		ულ	მათ შორის			
		ულ	ულ	სახ ელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკ უთარი შემოსავლები	ულ	სახ ელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკ უთარი შემოსავლები
0 00	ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	38497,49	66706,92	33 195,15	33 511,77	48413,11	18 146,76	30 266,35	
1 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	5283,91	6464,24	155,01	6 309,24	5716,08	127,42	5 588,66	
2 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	17767,21	40750,59	31 126,85	9 623,73	24553,84	16 498,11	8 055,74	
3 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2900,06	3297,80	-	3 297,80	3296,40	-	3 296,40	

4 00	განათლება	5738,23	7994,69	1 776,69	6 218,00	7273,66	1 387,54	5 886,13
5 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	4766,02	5840,00	-	5 840,00	5599,21	-	5 599,21
6 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1812,04	2079,60	136,60	1 943,00	1854,92	133,70	1 721,23
7 00	ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა	230,02	280,00	-	280,00	119,00	-	119,00

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 5716,08 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 6464,24 ათ.ლარი) 88,43 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 24553,84 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 40750,59 ათ.ლარი) 60,25 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 3296,4ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 3297,8 ათ.ლარი) 99,96 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 7273,66 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 7994,69 ათ.ლარი) 90,98 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 5599,21 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 5840,0 ათ.ლარი) 95,87 %;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1854,92 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2079,6 ათ.ლარი) 89,2 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 119,0 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 280,0 ათ.ლარი) 42,5 %;
- (ახსნა-განმარტება შესრულების დაბალი მაჩვენებლის შესახებ: აღნიშნულ პრიორიტეტში თანხები გათვალისწინებული იყო GIZ-თან ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით, დასკვნით ეტაპზე დონორმა ორგანიზაციამ უარი განაცხადა პროექტების დაფინანსებაზე).

პრიორიტეტები



- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია
- დასუფთავება და გარემოს დაცვა
- განათლება
- კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა

2022 წლის განმავლობაში მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე აღებული ვალდებულების ფარგლებში დაფინანსდა 114,9 ათასი ლარი.

2022 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 131871,24 ლარი.

ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცებული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შესახებ 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარეზერვო ფონდიდან კონკრეტული ღონისძიებების აღწერა, თუ რა მიზნით იქნა გამოყოფილი თანხა	სამართლებრივი აქტი	გამოყოფილი თანხა (ლარებში)	შენიშვნა
სააფთიაქო დაწესებულებებში მედიკამენტის შესაძენად გაცემული დახმარებები	ბრძანება	26057	
დახმარების გაწევის მიზნით მედიკამენტების შესაძენად და სამედიცინო მომსახურების დაფარვის მიზნით მოქალაქეთა პირად ანგარიშებზე თანხის ჩარიცხვა	ბრძანება	29211	
სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებებში მკურნალობის ხარჯების თანადაფინანსება მათ შორის, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაცემული საგარანტიო წერილების	ბრძანება	57981	
უკრაინაში შექმნილი საომარი მდგომარეობის გამო ჰუმანიტარული დახმარების მიზნით თანხის გამოყოფა	ბრძანება	9722,24	
განათლების ღონისძიებების ხელშეწყობა	ბრძანება	6600	
სარიტუალო ხარჯებისთვის გაწეული დახმარებები	ბრძანება	1800	
მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა	ბრძანება	500	
სულ		131871,24	

2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები

„ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2-ე ნაწილის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის №33 დადგენილებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 34480,0 ათ.ლარით.

2023 წლის განმავლობაში განხორციელდა 2 ცვლილება.

- I. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 იანვრის №1 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 28 477 283,27 ლარით.
- II. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 16 ივნისის №14 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტი გაიზარდა 7 316 246,98 ლარით.

საბიუჯეტო ცვლილების გათვალისწინებით ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა **70273,53** ათ.ლარით.

შემოსულობების ნაწილის ანალიზი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის III კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 2022 წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 40369,63 ათ. ლარი, რაც წლიური გეგმის 79,1 %-ია (წლიური დაზუსტებული გეგმა 51034,6 ათ.ლარი). წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლებთან შედარებით (32956,3 ათ. ლარი), შემოსულია 7413,33 ათ. ლარით მეტი. წინა წლის ანალოგიური პერიოდის შემოსავლების პროცენტული მაჩვენებელი იყო 58,51%-ი. (გეგმა -56325,2 ათ.ლარი, ფაქტი - 32956,3 ათ. ლარი).

2023 წლის III კვარტლის შემოსავლები:

- ქონების გასახადის გეგმა 77,47 %-ით (წლიური გეგმა 7650,0 ათ.ლარი შესრულება 5926,5 ათ.ლარი) ;
- დღგ-ს გასახადის გეგმა 74,56 %-ით (წლიური გეგმა 22737,4 ათ.ლარი შესრულება 16953,1 ათ.ლარი) ;
- შემოსავალი პროცენტებიდან გეგმა შესრულდა 151,06 %-ით (წლიური გეგმა 150,0 ათ.ლარი შესრულება 226,6 ათ.ლარი) ;
- მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის გეგმა შესრულებულია 278,8 %-ით (წლიური გეგმა 300,0 ათ.ლარი, შესრულება 836,5 ათ.ლარი);

- შემოსავლი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 40,91 %-ით(წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 40,91 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მშენებლობის დაწყების ნებართვისათვის 96,04 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი, შესრულება 240,1 ათ.ლარი);
- მოსაკრებელი მოსახლეობის ტერიტორიის დასუფთავებისათვის 88,64 %-ით (გეგმა 250,0 ათ.ლარი შესრულება 221,6 ათ.ლარი);
- შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან 98,03 %-ით (წლიური გეგმა 2012,6 ათ.ლარი,შესრულება 1973,1 ათ.ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 240 %-ით (წლიური გეგმა 20,0 ათ.ლარი, შესრულება 48,0 ათ.ლარი);
- შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 106,91 %-ით (წლიური გეგმა 100,0 ათ.ლარი, შესრულება 106,91 ათ.ლარი);
- არაფინანსური აქტივების გაყიდვიდან 53,25 %-ით (წლიური გეგმა 850,0 ათ.ლარი,შესრულება 452,6 ათ.ლარი);

2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მდგომარეობით მიღებულია ფინანსური დახმარება (ტრანსფერი) 13340,3 ათ.ლარი, მათ შორის:

- ა) საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები – 65,9 ათ.ლარი ;
- ბ) სტიქია – 3515,3 ათ.ლარი ;
- გ) მიზნობრივი ტრანსფერი – 337,5 ათ.ლარი ;
- დ) მოსწავლეთა ტრანსპორტირება და საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება – 991,3 ათ.ლარი;
- ე) საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 5634,3 ათ.ლარი;
- ვ) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან გამოყოფილი თანხები – 1291,2 ათ.ლარი;
- ზ) მუნიციპალური განვითარების ფონდიდან სამგზავრო ავტობუსების თანადაფინანსება – 274,8 ათ.ლარი;
- თ) საჯარო ფინანსების გრანტი – 530,0 ათ.ლარი;
- ი) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - 700,0 ათ.ლარი;

გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი (ხ ა რ ჯ ე ბ ი)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გადასახდელების გეგმა შეადგენს

70273,53 ათ.ლარს. ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 2023 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა **47283,03** ათ. ლარი წლიური გეგმის 67,28 % -ია.

წინა წლის ფაქტიურმა ანალოგიური პერიოდის საკასო ხარჯები შეადგენდა 29595,38 ათ. ლარს წლიური გეგმის 48,22 % -ი იყო (წინა წლის გეგმა **61371,7**ათ.ლარი).

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებაში 17687,64 ათ. ლარით მეტი თანხა იქნა ათვისებული.

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 5102,64 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 7772,0 ათ.ლარი) 65,65 %;
- ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დაფინანსებამ შეადგინა 27055,96 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 40116,67 ათ.ლარი) 67,44 % ;
- დასუფთავების და გარემოს დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 2570,04 ათ.ლარი წლიური გეგმის (გეგმა 3793,0 ათ.ლარი) 67,75 %;
- საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 6473,04 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 9365,35 ათ.ლარი) 69,12 %;
- სპორტული და კულტურული ობიექტების და ღონისძიებების დაფინანსებამ შეადგინა 4423,6 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 6288,0 ათ.ლარი) 70,35%;
- სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 1537,22 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 2623,51 ათ.ლარი) 58,59 %;
- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა 120,53 ათ.ლარი, წლიური გეგმის (გეგმა 315,0 ათ.ლარი) 38,26 %;

2023 წლის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდის ხარჯებმა შეადგინა 204,1 ათ.ლარი. მ.შ - 89,3 ათ.ლარი დაიხარჯა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ (დოლიძის ქუჩაზე მრავალბინიანი სახლის სახურავი), 2023 წლის 8 სექტემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა პირველადი დახმარებისათვის - 16,7 ათ. ლარი , სოციალური მიზნებისთვის - 98,1 ათ.ლარი.

თავი III. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები საშუალოვადიან პერიოდში

2020-2022 წლებში მსოფლიოში ახალი კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ტენდენცია.

კორონავირუსით გამოწვეულმა ნეგატიურმა შოკმა გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად ოზურგეთის მუნიციპალიტეტზე. მიუხედავად აღნიშნულისა ბოლო 3 წლის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი ეკონომიკური პარამეტრები მუდმივად გაუმჯობესების ტენდენციით ხასიათდებოდა და შესაბამისად იზრდებოდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულებები.

პანდემიის შემდგომ პერიოდში გაუმჯობესდა, როგორც ეკონომიკური, ასევე ფისკალური პროგნოზები. ამის გათვალისწინებით, მიმდინარე პერიოდში ქვეყნის მაკროეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება ეკონომიკის გაჯანსაღებისკენ, რათა საშუალოვადიან პერიოდში ქვეყნის განვითარების დონე დაუბრუნდეს პოტენციურ მაჩვენებელს და უზრუნველყოს მაკროეკონომიკური სტაბილურობა.

2024-2027 წლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა უნდა შექმნას საშუალოვადიან პერიოდში მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მყარი საფუძვლები.

ამ მიზნის მისაღწევად მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვა ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მიმზიდველი გარემოს შენარჩუნება და განვითარება. მისი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალური გამოვლენა. რაც გულისხმობს მიმზიდველი გარემოს შექმნას და ტურიზმის განვითარებით ოზურგეთის მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები ერთობლივად ყველა მიმართულებით გაატარებს ძირეულ და ინოვაციურ რეფორმებს. ამ რეფორმების შედეგად, მივიღებთ, მოქნილ და ეფექტიან მართველობით გუნდს, რომელიც მაქსიმალურად შეუწყობს ხელს მუნიციპალიტეტში საკუთარი შემოსავლების ზრდას და მობილიზებული სახსრების ეფექტურად განკარგვას.

ეფექტურად გაგრძელდება ყველა ისეთი საჭირო კომუნიკაციების მშენებლობა რეაბილიტაცია, როგორცაა გზები, გარე განათება, წყალმომარაგება და სხვა. რათა მაქსიმალურად ხელი შეეწოს ინვესტიციების მოზიდვას და ეკონომიკის განვითარებას.

განათლება, ახალგაზრდობა და ინოვაცია. განათლებული, მოტივირებული, სამეწარმეო სულისკვეთების მქონე, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული ახალგაზრდობა გახდება იმ მთავარი შედეგის მომტანი, რომელიც მუნიციპალიტეტს

ჩააყენებს განვითარებული და ინოვაციური ეკონომიკის მქონე როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის წარმატებული მუნიციპალიტეტებს შორის. შესაბამისად, წახალისდება ისეთი ინოვაციური პროექტები რომელიც მოზარდი თაობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორც ქვეყნის მთავრობისათვის ასევე მუნიციპალიტეტშიც ადამიანი და მასზე ზრუნვა იყო, არის და იქნება ჩვენი მთავარი ღირებულება. ამიტომ, გაგრძელება და შეიქმნება ისეთი ახალი პროგრამები რომელიც სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში გაზრდის ხელმისაწვდომობას სხვადასხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სერვისების მიღებაზე.

2023 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, არასამთავრობო სექტორთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2024–2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურის განვითარება;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ ეკონომიკა.

ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობა (საკუთარი შემოსულობების ფარგლებში)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების ასიგნებისა და რიცხოვნობის ზღვრული ოდენობები პრიორიტეტების მიხედვით

ათასი ლარი

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	მომუშ ავეთა რიცხო	2024	2025	2026	2027

		ვნობა				
01 00	წარმომადგენლო ბიტი და აღმასრულებელი ხელისუფლება	288	9 295,0	9 406,8	10 297,0	11 073,0
02 00	ინფრასტრუქტურა	89	6 315,0	8 043,2	8 159,0	8 371,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	277	4 173,0	4 490,0	4 904,0	5 385,0
04 00	განათლება	897	8 105,0	8 472,0	8 672,0	9 279,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	720	6 768,0	6 809,0	7 364,0	8 090,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	17	2 749,0	2 349,0	2 531,0	2 546,0
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობები ს განვითარება	12	320,0	340,0	380,0	400,0
სულ ჯამი		2 300	37 725,0	39 910,0	42 307,0	45 144,0

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის დასაფინანსებლად)

ათასი ლარი

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024	2025	2026	2027
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	9 295,0	9 406,8	10 297,0	11 073,0
02 00	ინფრასტრუქტურა	6 315,0	8 043,2	8 159,0	8 371,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4 173,0	4 490,0	4 904,0	5 385,0
04 00	განათლება	8 105,0	8 472,0	8 672,0	9 279,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	6 768,0	6 809,0	7 364,0	8 090,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 749,0	2 349,0	2 531,0	2 546,0
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	320,0	340,0	380,0	400,0
სულ ჯამი		37 725,0	39 910,0	42 307,0	45 144,0

პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება (არსებული პოლიტიკის და ახალი ინიციატივების დასაფინანსებლად ჯამურად)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტის მთლიანი დაფინანსება

ათასი ლარი

პრიორიტეტის კოდი	პრიორიტეტის დასახელება	2024	2025	2026	2027
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება	9 295,0	9 406,8	10 297,0	11 073,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
02 00	ინფრასტრუქტურა	6 315,0	8 043,2	8 159,0	8 371,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	4 173,0	4 490,0	4 904,0	5 385,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
04 00	განათლება	8 105,0	8 472,0	8 672,0	9 279,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდული და სპორტი	6 768,0	6 809,0	7 364,0	8 090,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 749,0	2 349,0	2 531,0	2 546,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები				
07 00	ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების განვითარება	320,0	340,0	380,0	400,0
	მ.შ. ახალი ინიციატივები	0,0	0,0	0,0	0,0
სულ ჯამი		37 725,0	39 910,0	42 307,0	45 144,0

მ.შ. ახალი ინიციატივები				
-------------------------	--	--	--	--

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პროგრამები და ქვეპროგრამები¹:

ინფრასტრუქტურის განვითარება 02 00

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება, შესაბამისად აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება, მრავალბინიანი სახლების რეაბილიტაცია, მუნიციპალური ტრანსპორტის მომსახურება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	6 315,0	8 043,2	8 159,0	8 371,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	1 530,0	1 824,2	1 480,0	1 500,0
02 01 01	გზების მოვლა-შენახვა (020101)	300,0	300,0	300,0	300,0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია (020102)	750,0	644,2	600,0	600,0
02 01 03	საგზაო მოძრაობის ორგანიზება (020103)	380,0	780,0	480,0	500,0
02 01 04	საგზაო ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია (020104)	100,0	100,0	100,0	100,0
02 01 05	ა(ა)იპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის პარკირების მართვის ცენტრი (020105)				
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1 140,0	1 289,0	1 461,0	1 601,0
02 02 01	წყალსადენის შიდა ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 01)	100,0	150,0	213,0	250,0
02 02 02	წყალსადენის შიდა ქსელის ექსპლუატაცია (02 02 02)	990,0	1 089,0	1 198,0	1 301,0

¹ პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართის სახით

02 02 03	კანალიზაციის ქსელების მოწყობა-რეაბილიტაცია (02 02 03)	50,0	50,0	50,0	50,0
02 03	საზოგადოებრივი სივრცეების განვითარება	300,0	350,0	350,0	350,0
02 03 01	სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია (020301)	150,0	200,0	200,0	200,0
02 03 02	საზოგადოებრივი დანიშნულების შენობების რეაბილიტაცია (020302)	100,0	100,0	100,0	100,0
02 03 03	კომუნალურ ქსელებზე დაერთების უზრუნველყოფა (020403)	50,0	50,0	50,0	50,0
02 04	პროექტირება და ექსპერტიზა	900,0	900,0	1 020,0	850,0
02 04 01	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (020401)	500,0	500,0	664,0	500,0
02 04 02	შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზა (020402)	400,0	400,0	356,0	350,0
02 05	სამოქალაქო ბიუჯეტი	300,0	350,0	350,0	350,0
02 06	ბინათმშენებლობა	200,0	300,0	350,0	400,0
02 06 01	მრავალბინიანი საცხოვრებელი ეზოების კეთილმოწყობა (020601)	100,0	200,0	250,0	250,0
02 06 02	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა (020602)	100,0	100,0	100,0	150,0
02 07	გარე განათება და ელმომარაგება	1 755,0	1 850,0	1 950,0	2 100,0
02 07 01	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია (020701)	80,0	100,0	100,0	150,0
02 07 02	გარე განათების ელექტროენერჯის ხარჯი (020702)	1 295,0	1 400,0	1 500,0	1 600,0
02 07 03	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია (020703)	380,0	350,0	350,0	350,0
02 08	სატრანსპორტო კომპანია	190,0	180,0	198,0	220,0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა		1 000,0	1 000,0	1 000,0
02 10	სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია				

სავალი ინფრასტრუქტურის განვითარება 02 01

პროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ადგილობრივი მნიშვნელობის, ქუჩების და შიდა საუბნო გზების სიგრძე შეადგენს 1426.2 კმ-ს, მ. შ. ადგილობრივი მნიშვნელობის გზების სიგრძე შეადგენს 247.8 კმ-ს. ასფალტირებული გზების საერთო სიგრძე შეადგენს 241,68კმ-ს, ბეტონის საფარიანი გზების საერთო სიგრძე შეადგენს 56,97კმ-ს, გრუნტოვანი გზის საერთო სიგრძე შეადგენს 1108, 75 კმ-ს. (მ.შ. ქ. ოზურგეთში ქუჩების სავალი ნაწილის საერთო სიგრძე შეადგენს 75 კმ-ს, მ.შ. ასფალტირებული გზების

3. 14 აპრილი- დედაენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდება კალიგრაფიის კონკურსი, რომელიც მიზნად ისახავს კალიგრაფიის პოპულარიზაციას, ხელით წერით კულტურის განვითარებასა და კონკურსანტების შემოქმედებითი უნარის წარმოჩენას. გამარჯვებულებს გადაეცემათ ფულადი ჯილდო და სიგელები. I ადგილის მფლობელს - 300 ლ, II ადგილი - 200 ლ, III ადგილი - 100 ლ.

ქვეპროგრამის მიზანი:

1. მუნიციპალიტეტსა და სკოლებს შორის თანამშრომლობითი, დემოკრატიული კულტურის დანერგვის და აქტიურ მოსწავლეთა თვითმმართველობების მუშაობების ხელშეწყობა.

2. პედაგოგებისა და აღმზრდელების დაფასება

3. ახალგაზრდებში ხელით წერის კულტურის განვითარება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

მხარდაჭერილია საგანმანათლებლო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული მინიმუმ 10 (ათი) აქტივობა

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია საგანმანათლებლო- შემეცნებითი პროექტები და ინიციატივები	განხორციელებული პროექტების რაოდენობა	15	20	პროექტების რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია. განათლების განყოფილება	შესრულებული სამუშაოების ანგარიშის მიხედვით	ფორს-მაჟორი.ინიცირებული პროექტების მომართვიანობის არარსებობა
დაფასებულია დეწმოსილი პედაგოგები	დაჯილდოებული დეწმოსილი პედაგოგი	5	5	პედაგოგი	10%	მუნიციპალიტეტის მერია. განათლების განყოფილება	მუნიციპალიტეტის მერია. განათლების განყოფილება	

ფორმალური, არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლებისა და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 04 03

პროგრამის აღწერა:

1. სტუდენტების წახალისება სტიპენდიის გაცემის გზით. მერის სტიპენდია 200 (ორასი) ლარი დაუწესდება 3 სტუდენტს(ბაკალავრს) , რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით , naec-ის შედეგების მიხედვით, რეიტინგში მოხდებიან პირველ სამეულში. სტიპენდია გაიცემა ერთი სასწავლო წლის განმავლობაში ყოველთვიურად. წარმოსადგენი დოკუმენტაციაა: naec-ის ამონაწერი. ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან, პირადობის ასლი, სტუდენტის საბანკო ანგარიში.

2. დედით ან მამით ობოლ სოციალურად დაუცველ სტუდენტს, რომლის სარეიტინგო ქულაა შეადგენს 70 000 - პირველი კურსის პირველი სემესტრი დაუფინანსდება 400 ლარით. ხოლო, ყოველი მომდევნო სემესტრის დაფინანსება განისაზღვრება,წინა სემესტრში მიღებული ქულების რაოდენობით:71-დან 80 ქულამდე 300 ლარით. 81-დან 90 ქულამდე - 500 ლარით,ხოლო 91-დან 100 ქულამდე 600 ლარით.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის (აქტიური)შესახებ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები, ანგარიშფაქტურა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი -ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ.

3. პროფესიული განათლების იმიჯის გაძლიერება და სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა.

4.წლის რჩეულის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემა სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, მოსწავლე/ ახალგაზრდებს , რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ განათლების, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის,ტექნოლოგიის, მედიცინის და სხვადასხვა მიმართულებით. ასევე, პირს რომელიც წარადგენს თავის კუთხეს(გურიას) საერთაშორისო დონეზე და წვლილს შეიტანს ევროპული ღირებულებების გავრცელებაში. წლის რჩეულის კანდიდადტურის წარდგენა მოხდება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. წლის რჩეულის გამოვლენისა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოს 2000 (ორიათასიათასი) გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.(წლის განმავლობაში არაუმეტეს 2 ადამიანისა) დაჯილდოება მოხდება წლის ბოლოს. დაჯილდოების ცერემონიაზე ,ფულად ჯილდოსთან ერთად გადაეცემა სპეციალურად დამზადებული სიმბოლური სუვენირი.

5. ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა სსმ , შშმ შესაძლებლობის მქონე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის,მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია და სოციალიზაცია. საჭირო ადამიანურ, სასწავლო , მატერიალურ რესურსებზე და სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობა და სხვა.

6. ბავშვთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის წარმოება და სხვადასხვა აქტივობების განხორციელება.ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას, საინფორმაციო კამპანიებით სხვადასხვა საკითხებზე ცნობადობის ამღლებას.

7. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას, საინფორმაციო კამპანიებით სხვადასხვა საკითხებზე ცნობადობის ამღლებას. მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის საინფორმაციო შეხვედრების,ტრენინგებისა და კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით;

მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობითი პროცესების ინიცირება; მუნიციპალური სერვისის „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ მუშაობის კოორდინაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა კვლევების, საინფორმაციო კამპანიების,კონკურსებისა და სხვადასხვა თემატური ღონისძიებები ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის; ასევე დაგეგმილია ქალთა ეკონომიკური

გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნული ღონისძიებები დაიგეგმება და განხორციელდება „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ მიერ.

პროგრამის მიზანი:

განათლების მუნიციპალური პროგრამის გზით მოსწავლე-ახალგაზრდობის-სტუდენტების ხელშეწყობა , გენდერული პოლიტიკის განხორციელება, სხვადასხვა პროფესიის ადამიანების წახალისება, მოსწავლე/ახალგაზრდობის ინტელექტუალური პოტენციალის რეალიზება და განათლების მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა შშმ და სსმ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია არაფორმალური განათლება და უზრუნველყოფილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (სახაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	ზომის ერთეული	ცდომილება ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლება ხელშეწყობილია. უზრუნველყოფილია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე	არაფორმალური, პროფესიული, უმაღლესი განათლების მიმართულებით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	8	16	22	30	45	რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მიღება ჩაბარების აქტი/გამოკითხვის შედეგები	
	სხვადასხვა საინფორმაციო შეხვედრები	10	8	10	12	15	რაოდენობა	10%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მიღება ჩაბარების აქტი/გამოკითხვის შედეგები	
	ინკლუზიური განათლების ხელშეწყობის ღონისძიებები	7	15	20	22	25	რაოდენობა	15%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მიღება ჩაბარების აქტი/გამოკითხვის შედეგები	

ფორმალური და არაფორმალური, სკოლამდელი, პროფესიული, უმაღლესი და გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 04 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

1. მერის სტიპენდია 200 (ორასი) ლარი დაუწესდება 3 სტუდენტს , რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით , naec-ის შედეგების მიხედვით, რეიტინგში მოხდებიან პირველ სამეულში. სტიპენდია გაცემა ერთი

სასწავლო წლის განმავლობაში ყოველთვიურად. წარმოსადგენი დოკუმენტაციაა naec-ის ამონაწერი. ცნობა უმაღლესი სასწავლებლიდან, პირადობის ასლი, სტუდენტის საბანკო ანგარიში.

2. დედით ან მამით ობოლ სოციალურად დაუცველ სტუდენტს, რომლის სარეიტინგო ქულა შეადგენს 70 000 - პირველი კურსის პირველი სემესტრი დაუფინანსდება 400 ლარით. ხოლო, ყოველი მომდევნო სემესტრის დაფინანსება განისაზღვრება, წინა სემესტრში მიღებული ქულების რაოდენობით: 71-დან 80 ქულამდე 300 ლარით. 81-დან 90 ქულამდე - 500 ლარით, ხოლო 91-დან 100 ქულამდე 600 ლარით.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია: ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტის სტატუსის (აქტიური) შესახებ. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბანკო რეკვიზიტები, ანგარიშგაქტურა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი - ამონაწერი სემესტრში გავლილი საგნებისა და შეფასებების შესახებ.

3. პროფესიული განათლების იმიჯის გაძლიერება და სხვადასხვა აქტივობების მხარდაჭერა. წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრები და გამოცდილების გაზიარება პროფესიული განათლების პოპულარიზაციის მიზნით, საინფორმაციო კამპანიის წარმოება. სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარება, პროფესიული ორიენტაციის პრაქტიკის გაცნობა, სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს VIII-XII კლასის მოსწავლეები.

4. წლის რჩეულის ერთჯერადი ფულადი ჯილდო გადაეცემა სხვადასხვა სფეროში დასაქმებულ ადამიანებს, მოსწავლე/ახალგაზრდებს, რომლებიც განსაკუთრებულ ნიჭს ავლენენ განათლების, ხელოვნების, მეცნიერების, სპორტის, ტექნოლოგიის, მედიცინის და სხვადასხვა მიმართულებით. ასევე, პირს რომელიც წარადგენს თავის კუთხეს (გურიას) საერთაშორისო დონეზე და წვლილს შეიტანს ევროპული ღირებულებების გავრცელებაში. წლის რჩეულის კანდიდატურის წარდგენა მოხდება მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ. წლის რჩეულის გამოვლენისა და ერთჯერადი ფულადი ჯილდოს 2000 (ორიათასიათასი) გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი. (წლის განმავლობაში არაუმეტეს 2 ადამიანისა) დაჯილდოება მოხდება წლის ბოლოს. დაჯილდოების ცერემონიაზე, ფულად ჯილდოსთან ერთად გადაეცემა სპეციალურად დამზადებული სიმბოლური სუვენირი.

5. ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა სსმ , შშმ შესაძლებლობის მქონე და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის,მათი საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაცია და სოციალიზაცია. საჭირო ადამიანურ, სასწავლო , მატერიალურ რესურსებზე და სასწავლო პროცესზე ხელმისაწვდომობა და სხვა.

6.ბავშვთა უფლებების დაცვის დღესთან დაკავშირებით საინფორმაციო კამპანიის წარმოება და სხვადასხვა აქტივობების განხორციელება.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალური პროგრამის გზით მოსწავლე-ახალგაზრდების-სტუდენტების წახალისება და ფორმალური/არაფორმალური/ პროფესიული/უმადლესი განათლების ხელშეწყობა .

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ჩატარებულია ღონისძიებები და უზრუნველყოფილია საზოგადოების ინფორმირება თანასწორობის საკითხებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 4 - ხარისხიანი განათლება.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი						
	ინდიკატორის დასახელება	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ფინანსურად წახალისდა მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი	მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტი	55	სტუდენტი	10%	უმაღლესი სასწავლებელი/განათლებლის,	დადგენილი წესის მიხედვით სტუდენტის	მაღალი აკადემიური მოსწრების სტუდენტები
პროფესიული განათლების პოპულარიზაცია	ჩატარებული ღონისძიებები	2	ღონისძიება	10%	კოლეჯი „ჰორიზონტი“/განათლებლის განყოფილება	პირდაპირი, სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
გამოვლინდა და დაჯილდოვდა „წლის რჩეული“ ადამიანი	გამოვლილი და დაჯილდოვებული წლის რჩეული ადამიანები	2	ადამიანი	10%	განათლების განყოფილება	პირდაპირი, სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
დაფინანსებული პროექტები	ჩატარებული ღონისძიებები	5	ღონისძიება	10%	განათლების განყოფილება	პირდაპირი, სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა	ჩატარებული ღონისძიება	1	ღონისძიება	10%	განათლების განყოფილება	მიღება-ჩაბარების აქტები	ფორს-მაჟორი

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა 04 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ისეთი აქტივობები, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდას, საინფორმაციო კამპანიებით სხვადასხვა საკითხებზე ცნობადობის ამაღლებას. მუნიციპალიტეტის საჯარო მოსამსახურეებისათვის და მოქალაქეებისათვის საინფორმაციო შეხვედრების, ტრენინგებისა და კონსულტაციების გაწევა გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით;

2. მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის თანამონაწილეობით პროცესების ინიცირება; მუნიციპალური სერვისის „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ მუშაობის კოორდინაცია; ქვეპროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა კვლევების, საინფორმაციო კამპანიების, კონკურსებისა და სხვადასხვა თემატური ღონისძიებები ჩატარება, რომელიც მიმართული იქნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელებისთვის; ასევე

დაგეგმილია ქალთა ეკონომიკური გაძლიერების მიზნით ქალების გადამზადება და უნარების გაძლიერება სხვადასხვა მიმართულები. აღნიშნული ღონისძიებები დაიგეგმება და განხორციელდება „გენდერული თანასწორობისა და ქალთა მხარდაჭერის სივრცის“ მიერ. **ქვეპროგრამის მიზანი:**

გენდერული პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილება ს ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია გენდერული თანასწორობის თაობაზე ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება	გენდერული თანასწორობის საკითხებზე ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	5	5	ღონისძიება	5%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	7	20	ღონისძიება	15%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	4	7	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
	სხვადასხვა პროექტებში თანამონაწილეობა	3	6	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი

კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია 05 00

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე მნიშვნელოვანია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მომდევნო წლებშიც მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსურად მხარდაჭერილი იქნება წარმატებული სპორტსმენები და შესაბამისი პირობების შექმნით უზრუნველყოფილი იქნება ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

05 00	კულტურა, ახალგაზრდობა, სპორტი და რელიგია	6 768,0	6 809,0	7 364,0	8 090,0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	2 710,0	2 512,0	2 700,0	2 880,0
05 01 01	მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა (05 01 01)	70,0	70,0	70,0	80,0
05 01 02	სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა (05 01 02)	1 740,0	1 485,0	1 600,0	1 700,0
05 01 03	სპორტული კლუბების ხელშეწყობა (05 01 03)	900,0	957,0	1 030,0	1 100,0
05 01 03 01	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი (05 01 03 01)	450,0	495,0	520,0	550,0
05 01 03 02	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	450,0	462,0	510,0	550,0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	3 858,0	4 047,0	4 414,0	4 960,0
05 02 01	კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა	370,0	370,0	400,0	400,0
05 02 02	კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	90,0	90,0	100,0	100,0
05 02 03	კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა	30,0	30,0	30,0	30,0
05 02 04	კულტურის ობიექტების დაფინანსება	3 368,0	3 557,0	3 884,0	4 430,0
05 02 04 01	დაბა ურეკის კულტურის სახლი	234,0	240,0	265,0	300,0
05 02 04 02	ცენტრალური ბიბლიოთეკა	268,0	290,0	319,0	340,0
05 02 04 03	თოჯინებისა და მოზარდ მაცურებელთა პროფესიული თეატრი	195,0	187,0	200,0	220,0
05 02 04 04	სახვითი ხელოვნების ცენტრი	173,0	183,0	200,0	220,0
05 02 04 05	სახელმწიფო ანსამბლი გურია	350,0	339,0	370,0	400,0
05 02 04 06	სამხატვრო სკოლა	120,0	128,0	140,0	160,0
05 02 04 07	მუსიკალური სკოლა	222,0	235,0	250,0	280,0
05 02 04 08	სამუზეუმო გაერთიანება	316,0	330,0	360,0	390,0
05 02 04 09	მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	1 375,0	1 510,0	1 660,0	2 000,0
05 02 04 10	ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრი	115,0	115,0	120,0	120,0

05 03	ახალგაზრდული პროგრამები	100,0	150,0	150,0	150,0
05 03 01	„შემოქმედებითი ოზურგეთი“	70,0	70,0	70,0	70,0
05 03 02	ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა	15,0	40,0	40,0	40,0
05 03 03	ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა	15,0	40,0	40,0	40,0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა	100,0	100,0	100,0	100,0
05 04 01	რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა	80,0	80,0	80,0	80,0
05 04 02	ეკლესია მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	20,0	20,0	20,0	20,0

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 05 01

პროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს და ევროპის ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთვნელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; ღვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით;

სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; სართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები. საერთაშორისო ტურნირი კაიაკინგში, რომელიც იმართება სოფ.შემოქმედში მდინარე ბჟუჟზე და მონაწილეობას იღებს ევროპის ქვეყნებიდან ჩამოსული კაიაკერები, რეგიონალური სპორტული შეჯიბრება შ.შ.მ. პირებს შორის, რომელშიც ჩართულია ოზურგეთის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები შ.შ.მ. პირები. გურული ველოტურის ორგანიზება/ხელშეწყობა; სპორტის სახეობა "ოფროუდი" ავტომოყვარულთათვის; "დოდი" - ცხენების შეჯიბრება მოკლე და გრძელ მანძილზე რბოლაში ;

პროგრამის მიზანი:

მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები	ლონისძიებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა (კაცი, ქალი)	მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %	მათ შორის კაცი 80%, ქალი 20 %	მათ შორის კაცი 75%, ქალი 25 %	მათ შორის კაცი 70%, ქალი 30 %	მათ შორის კაცი 70 %, ქალი 30%	რაოდენობა	0,05	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/ მიღება-ჩაბარების აქტი	ფორსმაჟორული მდგომარეობა
	სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე)	(მათ შორის ბიჭი 80 %, გოგო 20%)	(მათ შორის ბიჭი 80%, გოგო 20%)	(მათ შორის ბიჭი 75%, გოგო 25%)	(მათ შორის ბიჭი 70%, გოგო 30%)	(მათ შორის ბიჭი 70%, გოგო 30%)	რაოდენობა	0,05	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/ მიღება-ჩაბარების აქტი	სხვა გაუთვალისწინებელი
	ჩატარებული სპორტული ღონისძიების რაოდენობა	25	40	45	50	60	რაოდენობა	0,1	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/ მიღება-ჩაბარების აქტი	პანდემია

მასობრივი სპორტული სახეობების ხელშეწყობა 05 01 01

ქვეპროგრამის აღწერა:

„საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა“, საქართველოს სასკოლო სპორტულ ოლიმპიადის ორგანიზებაში მონაწილეობს, როგორც საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის ფედერაცია, ასევე სპორტული აიპები და სიპები, ღონისძიებაში ჩართულია მუნიციპალიტეტში შემავალი ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული 42 საჯარო და სამრევლო სკოლების 1500 მოსწავლეებისაგან (900 ვაჟი, 600 ქალი) შემდგარი სპორტული გუნდები, რომლებიც წარმატებით ასპარეზობენ მუნიციპალურ, ხოლო შემდეგ რეგიონალურ და ფინალურ შეხვედრებში სპორტის შემდეგ სახეობებში: კალათბურთი, ფეხბურთი, მაგიდის ტენისი, კროსი, ფრენბურთი. ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად იმართება პროექტი „მოყვარულთა თასი“ მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ მოყვარულ

ფეხბურთელთა გუნდებს შორის (სხვადასხვა რაოდენობის გუნდები გამოთქვამენ მონაწილეობის სურვილს, დაახლოებით 8 -10 გუნდი, 200 მდე მოყვარული ფეხბურთელები, 15 -29 წლის მამაკაცები)ტურნირები, როგორც მუნიციპალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე. „საქართველოს კომპიუტერული სპორტის ფედერაცია“ „გურიის კიბერსპორტის ფედერაცია“სთან ერთად ყოველწლიურად ატრებს ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობას სავარაუდოდ იღებს 200- მდე ახალგაზრდა ვაჟი 16 წლიდან 30 წლამდე. ფესტივალი „საქართველოს კომპიუტერული სპორტი 2019“ არის ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება, რომელიც ერთდროულად მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას: ინტელექტუალური შეჯიბრებები, განათლება, გართობა, სპორტული აქტივობები, გამოფენები, სანახაობრივი შოუები და ა.შ., გამარჯვებულებს ეძლევათ შანსი საქართველოს სახელით იასპარეზონ უცხოეთში გამართულ სხვადასხვა ფესტივალ- ჩემპიონატებზე.

„ევროპის სპორტის კვირეული“ „სპორტის საერთაშორისო დღე“, იმართება სკოლის მოსწავლეების ჩართულობით, დაახლოებით ჩართულია 250 მოსწავლე, აქედან 150 ვაჟი, 100 გოგონა. საერთაშორისო ტურნირი „კაიაკინგში“, რომელშიც მონაწილეობს ევროპის ქვეყებიდან ჩამოსული კაიაკერები (დაახლოებით 18 ქვეყანა 60 მდე მონაწილე, 40 მამაკაცი, 20 ქალი). ფინალური ტურნირების დასრულების შემდეგ , დასკვნით ღონისძიებაზე გამარჯვებული კაიაკერები ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. წლის ბოლოს იმართება წარმატებული სპორტსმენებისა და მათი მწრთვანელების დაჯილდოება

ქვეპროგრამის მიზანი:

სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა და ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ სპორტულ სკოლებსა და სექციებში გაერთიანებული ახალგაზრდა სპორტსმენების ხელშეწყობა. მოყვარული და პროფესიონალი სპორტსმენების მონაწილეობას ხელშეწყობა სხვადასხვა რანგის გასვლით სპორტულ ტურნირებსა და შეჯიბრებებში.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებული არიან წარმატებული სპორტსმენები და მწრთვანელები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

გენდერული: დიახ.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი								
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი	
უზრუნველყოფილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიებების ჩატარება, შექმნილია თანაბარი პირობები მოსახლეობის სპორტულ ცხოვრებაში ჩართულობისთვის და წახალისებელი არიან წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები	სპორტულ ღონისძიებაში მონაწილე სკოლის მოსწავლეები (გოგონები ვაჟები 18-წლამდე)	ჩატარებული ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებელი - 20	500	რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	მეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი, მეტეოროლოგიური პრობლემები.	
	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა	ჩატარებული ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებელი - 20	25	რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	მეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი, მეტეოროლოგიური პრობლემები.	
	დაჯილდოებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების რაოდენობა	სპორტსმენი (მათ შორის ქალი 10%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 10%)	სპორტსმენი (მათ შორის ქალი 15%); მწვრთნელი (მათ შორის, ქალი 15%)		რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი, მეტეოროლოგიური პრობლემები.
	სპორტულ ღონისძიებაში ჩართული მოსახლეობის რაოდენობა	10000	15000		რაოდენობა	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი, მეტეოროლოგიური პრობლემები.

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარების ხელშეწყობა 05 01 02

ქვეპროგრამის აღწერა:

წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სპორტული წრეების: ჭიდაობის, ფეხბურთის რაგბის, ტაეკვანდოს, ძიუდოს, ფარიკაობის, კალათბურთის, მძლეოსნობის, ჭადრაკის, ფრენბურთის მხარდაჭერა, მონიტორინგის განხორციელება მათი საჭიროებების შეფასება. სულ 6-დან 18 წლამდე 1404 ბავშვი და მოზარდი დადის სპორტულ წრეებზე, მათ შორის 1251 ბიჭია და 153 გოგო. სულ სპორტულ წრეებს ემსახურება 50 მწვრთნელი ემსახურებათ და მათ შორის 3 ქალი . მუნიციპალიტეტში სპორტული წრეები ფუნქციონირებს ქალაქ ოზურგეთში და შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებში:1.სოფ.შრომა, სოფ.ქვემო ნატანები, სოფ.ბახვი, სოფ.დვამბუ, სოფ. ბოხვაური, სოფ.მერია, სოფ.შემოქმედი, სოფ,ოზურგეთი, სოფ.ზემო ნატანები, დაბა ნასაკირალი, სოფ.ლიხაური, სოფ.შრომა, სოფ. კვირიკეთი;

სპორტული ღონისძიებების ორგანიზებაში დახმარება, სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობებისათვის გუნდებისა მათი მწვრთნელების ტრანსპორტირება საჭიროების შემთხვევაში, სპორტული ინვენტარის გადაცემა წახალისების მიზნით. ადგილობრივ ტრადიციულ ღონისძიებებში მათი ჩართულობა და ღონისძიებებზე გამართულ სპორტულ შეჯიბრებებში გამოვლენილი გამარჯვებული სპორტსმენებისათვის ჯილდოებისა და სამახსოვრო საჩუქრების გადაცემა. დაგეგმილია სპორტულ-გამაჯანსაღებელი მუშაობისა და სპორტსმენთა მომზადების ორგანიზაციული და მეთოდური ხელშეწყობა.ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია:

სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება და პოპულარიზაცია, ტრადიციული სპორტის მხარდაჭერა; ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური ჩართვა სისტემატურ ცხოვრებაში და პროფილის შესაბამისად მათი მეთოდური აღზრდა და დაოსტატება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია სპორტული წრეების თანაბარი ხელმისაწვდომობა და შექმნილია პირობები გოგონებისა და ბიჭებისთვის სპორტული წრეებით სარგებლობისთვის	სპორტული წრეების ბენეფიციართა რაოდენობა (6-დან 18 წლამდე)	(მათ შორის ბიჭი 90%, 10 გოგო %)	(მათ შორის ბიჭი 85 გოგო 15 %)	რაოდენობა	5%	ა(ა)იპ სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულება თა გაერთიანება	მონიტორინგი	დაბალი მომართვიანობა
	მწვრთნელების რაოდენობა	(მათ შორის ქალი 6%)	(მათ შორის ქალი 10%)	რაოდენობა	5%	ა(ა)იპ სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულება თა გაერთიანება	მონიტორინგი	
	სპორტულ ტურნირებში მონაწილეობა	40	60	რაოდენობა	10%	ა(ა)იპ სპორტულ გამაჯანსაღებელ დაწესებულება თა გაერთიანება	მონიტორინგი	ფორს-მაჟორის გამო ტურნირების ჩაშლა

ქვეპროგრამის აღწერა:

მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მზადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური ფეხბურთელების და რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს საფეხბურთო ჯგუფებისა და გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. ამჟამად შპს საფეხბურთო კლუბ მერცხალში ფუნქციონირებს ბავშვთა 5 ასაკობრივი ჯგუფი (U-7-8; U-9-10; U-11-12; U-13-14; U-15-16;) რომლებიც მონაწილეობენ გურია აჭარის და იმერეთის ღია ჩემპიონატებში; ბავშვებს ყველანაირი პირობა აქვთ შექმნილი სპორტული განვითარებისათვის; 2022 წლისათვის ბავშვთა რაოდენობა 180-ია (მათ შორის 180-ვე ბიჭია), 2022 წელს იგეგმება ბავშვთა რაოდენობის გაზრდა 230 -მდე. რაგბისტთა სპორტული კლუბი „არწივები“ მონაწილეობს ეროვნული ჩემპიონატის 1 ლიგაში, გუნდში ვარჯიშობს 40-ი 18 დან 30 წლამდე სპორტსმენი. ასევე ვარჯიშობს 7 დან 18 წლამდე ასაკის 80 ბავშვი, მათ შორის 75 ბიჭია და 5 გოგონა.

ქვეპროგრამის მიზანი:

ფეხბურთისა და რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (სახაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია ფეხბურთისა და რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა	საფეხბურთო კლუბში ჩართული 6-დან 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა	180	230	რაოდენობა	5%	შ.პ.ს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი მერცხალი	მონიტორინგი	დაბალი მომართვიანობა
	რაგბისტთა სპორტული კლუბში ჩართული 6-დან 18 წლამდე ბავშვებისა და ახალგაზრდების რაოდენობა	80 (მათ შორის შორის 3% გოგო)	100 (მათ შორის 4% გოგო)	რაოდენობა	5%	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი	მონიტორინგი	დაბალი მომართვიანობა
	რაგბის ტურნირებზე დაკავებული საპრიზო ადგილები	I-III	I-II	საპრიზო ადგილები	50%	ა(ა)იპ რაგბის განვითარების კავშირი	გამარჯვების დამადასტურებელი დოკუმენტები	ტურნირების ჩაშლა

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 05 02

პროგრამის აღწერა:

ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების მოწყობა;

მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის საზეიმო ღონისძიებების მოწყობა.

იუბილარ, დვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა/წახალისება, - (მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, თაიგულების ,ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა არაუმეტეს 500 ლარისა);

საიუბილეო საღამოების ჩატარების ხელშეწყობა.

შ.შ.მ. პირების სოცილიზაცია, მათი კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური მასშტაბით; (არაუმეტეს 500 ლარისა)

გამოჩენილი და ცნობადი ადამიანების შემოქმედებითი რეგიონალური ტურნეების ხელშეწყობა (კონცერტები, პოეზიის საღამოები, პერსონალური გამოფენები და ა.შ.); კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე საქართველოს წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვა.) ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/გაცვლითი პროგრამები ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ(ტრენინგები,ვორქშოფები, სემინარები,მასტერკლასები)

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პრომოუშენი). მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია როგორც ქვეყნის შიგნით ასევე საზღვარგარეთაც (საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები) ფესტივალების, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.

საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გადრმავება ,დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურული მდგრადობის შენარჩუნება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

პროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი								
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
შექმილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტივები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მისახლეობის ჩართულობა	ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	55	60	65	რაოდენობა	5%	მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს მთავრობა, კერძო/არასამთავრობო სექტორი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მიღება-ჩაბარების აქტი/გამოკითხვის შედეგები	ფორს-მაჟორი
	კულტურული და სახელოვნებო ღონისძიებების მონაწილეთა საერთო რაოდენობა	500	550	600	რაოდენობა	5%	მუნიციპალიტეტის მერია, ორგანიზაციები	წარმოდგენილია წლიური ანგარიში	ფორს-მაჟორი
	საერთაშორისო მნიშვნელობის ფესტივალებისა და ღონისძიებების რაოდენობა	8	8	8	რაოდენობა	5%	მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს მთავრობა, კერძო/არასამთავრობო სექტორი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში/მიღება-ჩაბარების აქტი/გამოკითხვის შედეგები	ფორს-მაჟორი
	კულტურული და სახელოვნებო სკოლების 18 წლამდე ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (ბიჭი/გოგო)	ბიჭი-450 გოგო-635	ბიჭი-500 გოგო-635	ბიჭი-550 გოგო-640	რაოდენობა	5%	განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საკითხთა, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური / მუნიციპალიტეტი	შესრულებული სამუშაოს ანგარიში	ფორს-მაჟორი

კულტურული ღონისძიებების ორგანიზება და ხელშეწყობა 05 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის და ქვეყნის ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა;

კონცერტების, გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების მოწყობა;

მუნიციპალიტეტში არსებული საჯარო და სამრევლო სკოლის მოსწავლეებისთვის სასწავლო წლის დაწყებასთან და დამთავრებასთან დაკავშირებით, ასევე სკოლის კურსდამთავრებულებისთვის საზეიმო ღონისძიებების მოწყობა;

ღვაწლმოსილ კულტურის მუშაკებთან შეხვედრა/წახალისება, - (მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, თაიგულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა არაუმეტეს 500 ლარისა);

საიუბილეო საღამოების ჩატარების ხელშეწყობა;

ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის მხარდაჭერა (თეატრალური წარმოდგენები, საერთაშორისო თეატრალური ფესტივალისა და საგასტროლო ტურნეების მონაწილეობისთვის (გასტროლებისთვის))

შ.შ.მ. პირების სოცილიზაცია, მათი კულტურულ ღონისძიებებში აქტიურად ჩართვა, როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონალური მასშტაბით (არაუმეტეს 500 ლარისა);

შ.შ.მ. პირებისადმი მიძღვნილი ღირშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა და მხარდაჭერა;

გამოჩენილი და ცნობადი ადამიანების შემოქმედებითი რეგიონალური ტურნეების ხელშეწყობა (კონცერტები, პოეზიის საღამოები, პერსონალური გამოფენები და ა.შ.);

კულტურისა და ხელოვნების სფეროში საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა; ქართული კულტურის საერთაშორისო პოპულარიზაციის მიზნით, საჯარო-კერძო პარტნიორობის და ერთობლივი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა (მაგ. გამოფენების ჩატარება, საერთაშორისო ბაზრობებზე, ფესტივალებზე და სხვა ღონისძიებებზე საქართველოს წარდგენა, ბიზნესის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და კულტურული რესურსის ერთობლივი წარმოჩენა და სხვა.)

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების(მატერიალური და არამატერიალური) მოვლა-პატრონობა;

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურის განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია;

მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება და ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში;

ხელშეწყობილია და პოპულარიზაცია გაეწია კულტურის განვითარებას;

ხელშეწყობილია მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება;

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ჩატარებულია კულტურული ღონისძიებები და ხელშეწყობილია მოსახლეობის ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში; ხელშეწყობილია და პოპულარიზაცია გაეწეოს კულტურის განვითარებას; ხელშეწყობილია მრავალფეროვანი შემოქმედებითი პოტენციალის განვითარება;	დაგეგმილი ღონისძიებების რაოდენობა	ჩატარებული ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებელი - 15	ჩასატარებელი ღონისძიების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 20	ცალი	5%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	დაგეგმილ ღონისძიებებზე	ფორს-მაჟორი. მეტეოროლოგიური პირობები
	ღონისძიებებზე დამსწრეთა სავარაუდო რაოდენობა	ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებელი - 10000	ჩასატარებელ ღონისძიებაზე დამსწრეთა რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 15000	ადამიანი	5%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	მოსაწვევები თ. დარბაზის ტევადობის მიხედვით და ღია სივრცეში ტერიტორიის ზომის გათვლის მიხედვით	ფორს-მაჟორი. მეტეოროლოგიური პირობები

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა 05 02 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საიმიჯო რგოლების დამზადება, ფოტო-ვიდეო მასალების შეგროვება, დოკუმენტური ფილმების გადაღება, გურული ტრადიციული სამზარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, საკურორტო სეზონზე (ზღვა, მთა და სხვადასხვა ტურისტული ლოკაციები, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.) კულტურული/ინფო-ტურების მოწყობა; პრეს- ტურის განსახორციელებლად ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების დაინტერესება და მათი ხელშეწყობა. კულტურული მარშრუტების განვითარების ხელშეწყობა;

ტურიზმის ადგილობრივ და საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობის მიღება;

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, გურული ტრადიციებისა და ფოლკლორის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ; საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ტურისტული ფესტივალების მოწყობა/ორგანიზება და სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობა; ტურიზმის სექტორში დასაქმებული ადამიანების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილები ს ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
შექმნილია პირობები მუნიციპალიტეტის ცნობადობის გაზრდისა და პოპულარიზაციისთვის, ხელშემწყობილია კულტურული ტურიზმი და უზრუნველყოფილია ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების ჩატარება	ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ კონტაქტების დამყარების მიზნით გაფორმებული მემორანდუმებისა და ფესტივალების რაოდენობა	პანდემიურ სიტუაციაში ჩატარებული ფესტივალების რაოდენობის მაჩვენებელი - 3	ჩასატარებელი ფესტივალების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 10	ცალი	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	ურთიერთთანამშრომლობის პროცესი (ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია-კერძო-საჯარო სექტორი)	ფორს-მაჟორი
	სხვადასხვა ღონისძიებების რაოდენობა	პანდემიურ სიტუაციაში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის მაჩვენებელი - 15	ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 40	ცალი	5%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი, მეტეოროლოგიური პირობები
	ღონისძიებებზე დამსწრეთა სავარაუდო რაოდენობა	პანდემიურ სიტუაციაში, რეგულაციების გათვალისწინებით რაოდენობის მაჩვენებელი - 1000	რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 10000	ცალი	5%	მუნიციპალიტეტის მერია. საქართველოს მთავრობა. კერძო/არასამთავრობო სექტორი	მოსაწვევებით. დარბაზის ტევადობის მიხედვით და ღია სივრცეში ტერიტორიის ზომის გათვალისწინებით	ფორს-მაჟორი. მეტეოროლოგიური პირობები
	სატელევიზიო სიუჟეტებისა და საიმიჯო რგოლების სავარაუდო რაოდენობა	სატელევიზიო სიუჟეტის რაოდენობის მაჩვენებელი - 5	სატელევიზიო სიუჟეტის რაოდენობის მაჩვენებლის ზრდა - 15	ცალი	5%	ტელევიზია. მუნიციპალიტეტის მერია	გადღებულ ვიდეორგოლის რაოდენობა. სატელევიზიო სიუჟეტის რაოდენობა.	დაგეგმილი ღონისძიების გაუქმება

კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა 05 02 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში იგეგმება ტრენინგის ჩატარება კულტურის სფეროს მენეჯერებისათვის - კულტურის სფეროს მენეჯმენტი და კულტურის სერვისები, ბ) ტრენინგი კულტურის სფეროს თანამშრომლებისთვის - ღონისძიებების სწორად დაგეგმვა/მართვა, გ) ტრენინგი კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანებისთვის -პროექტების წერის და მართვის პრინციპები. ფინანსების მოზიდვის მექანიზმები და თავისებურებანი;

სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობი ღონისძიებების ორგანიზებას; ტრენინგებში, მასტერკლასებში, ვორკშოფებსა და სხვა სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა აქტივობებში მონაწილეობის ხელშეწყობას;

მუზეუმის, როგორც საგანმანათლებლო-კვლევითი დაწესებულებისა და საზოგადოებრივი ცენტრის შემდგომი განვითარების ხელშეწყობა, სხვადასხვა სახის სამუზეუმო საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, საბავშვო, ინკლუზიური განათლების და სხვა პროგრამების შემუშავება და დანერგვა.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, დამეგობრებული ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების გამოცდილების გაზიარება კულტურის სფეროს მართვაში.

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარებისა და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა;

კულტურის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისა და ქართული კულტურის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდა.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარება და ხელოვნთა შემოქმედებითი ზრდა	კულტურის სფეროს მენეჯერებისათვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა	2	5	ცალი	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი
	სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგთა გადამზადებისთვის ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	3	5	ცალი	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი
	მუზეუმში დაგეგმილი საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა	5	7	ცალი	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი
	დამეგობრებულ მუნიციპალიტეტებთან (როგორც ქვეყნის შიდა, ისე ქვეყნის გარეთ) მენეჯმენტის გამოცდილების გაზიარების მიზნით ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	3	5	ცალი	5%	ორგანიზატორების მიერ გაფორმებული სამართლებრივი დოკუმენტაცია	შეთანხმება/დაგეგმვა/ხელშეკრულება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჟორი

კულტურის ობიექტების დაფინანსება 05 02 04

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის ფოლკლორული კოლექტივებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების მხარდაჭერა და შემოქმედებითი კოლექტივების ხელშეწყობა, თეატრალური, მუსიკალური სახვითი, ქორეოგრაფიული, წიგნის ფესტივალების, კონცერტების, მუზეუმებში ახალ ექსპოზიციათა და მოძრავი გამოფენის მოწყობა, გაგრძელდება სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში კულტურული მდგრადობის შენარჩუნება, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა

ახალგაზრდული პროგრამები 05 03

პროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული ღონისძიებების ორგანიზების მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდული ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა და დაფინანსება, სხვადასხვა სახის ინტელექტუალური კონკურსების ჩატარება, განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება. ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება. სამთავრობო და არასამთავრობო ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობა.

პროგრამის მიზანი:

ახალგაზრდული ინიციატივების, პროექტებისა და წინადადებების განხორციელების ხელშეწყობა და დაფინანსება და ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
მხარდაჭერილია ახალგაზრდული ინიციატივები და უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში	ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა	5	10	15	20	25	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	შეთანხმება/მიღება-ჩაბარების აქტი	ფორს-მაჯორი
	პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	45	75	80	100	120	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მასალები, დოკუმენტები	ფორს-მაჯორი
	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	20	50	70	80	100	რაოდენობა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	მასალები, დოკუმენტები	ფორს-მაჯორი

„შემოქმედებითი ოზურგეთი“ 05 03 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერის მიზნით, „შემოქმედებითი ოზურგეთის“ პროგრამის ფარგლებში კონკურსი გამოცხადდა. მოხატა ქალაქ ოზურგეთის ტერიტორიაზე კედლები ისტორიული და გურიისთვის სახასიათო ესკიზებით. პროგრამის ბიუჯეტი: 50 000 ლარი ბიუჯეტი. 2024 წლისთვის დაგეგმილია სხვა აქტივობებიც, რომლებშიც ადგილობრივი ახალგაზრდები იქნება ჩართული.

ქვეპროგრამის მიზანი:

ქვეპროგრამის მიზანია შემოქმედებითი ინდუსტრიის სხვადასხვა დარგის განვითარების ხელშეწყობა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ჩართულობა თვითმმართველობის განხორციელებაში. გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებითი ინდუსტრიის დარგების განვითარებაში	პროექტში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	20	30	რაოდენობა	10	ლონისმიების ორგანიზატორები	პირდაპირი აღრიცხვა	ფორსმაჟორი, მეტეროლოგიური პრობლემები

ახალგაზრდობის ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების მხარდაჭერა 05 03 02

ქვეპროგრამის აღწერა:

ადგილობრივი თვითმმართველობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათი წინადადებების გათვალისწინება;

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება(არაუმეტეს 500 ლარის ოდენობით) - ოზურგეთის ტექნოპარკის და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ

ორგანიზებულ „ტექნოლოგიურ ბანაკში“ ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების /ინიციატივების მხარდაჭერა;

მერიის რჩეული - ოზურგეთის ტექნოპარკისა და სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ "აგროტონში" გამოვლენილი განსაკუთრებული პროექტის მფლობელის წახალისება (არაუმეტეს 5000 ლარისა);

ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების, არაფორმალური განათლების პოპულარიზაციისა და მოდერნიზაციის მხარდაჭერის მიზნით ახალგაზრდების საქართველოს ბანაკებში მონაწილეობის უზრუნველყოფა (არაუმეტეს 500 ლარისა);

ახალგაზრდული ფორუმების, ფესტივალების, ვორკშოპების, ტრენინგების ჩატარება ახალგაზრდული სექტორის და სხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით;

ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება (ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ).ბულინგის, ოჯახური ძალადობის, გ).პროფესიული განათლების მიღების დ). კარიერის განვითარების სერვისის დანერგვისა და დასაქმების საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობით და საინფორმაციო და საგანმანათლებლო პროგრამების მეშვეობით) და სხვა.

ახალგაზრდობის კულტურულ-შემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

ქვეპროგრამის მიზანი:

ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული პოტენციალის განვითარების ხელშეწყობა, ასევე ახალგაზრდების ჩართულობა ქვეყნის განვითარების პროცესში და მათი ლიდერული უნარ-ჩვევების აქტუალიზების მხარდაჭერა. ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ახალგაზრდების ინტელექტუალურ-კულტურული განვითარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა;

მიზანი 16 - მშვიდობა, სამართლიანობა და ძლიერი ინსტიტუტები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ადგილობრივი თვითმართელობის მუშაობის პროცესში ახალგაზრდების ჩართულობა და მათი წინადადებების გათვალისწინება	პროგრამის განხორციელებაში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	5	10	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი იდეების/ინიციატივების პროექტების მხარდაჭერა;	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	(მათ შორის ქალი 60%, 40%კაცი)	(მათ შორის ქალი60%, 40%კაცი)	ახალგაზრდა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
"მერიის რჩეული" - პროექტი	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	(მათ შორის ქალი 52%, 48%კაცი)	(მათ შორის ქალი60%, 40%კაცი)	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური - ტექნოპარკი	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ახალგაზრდული ფესტივალების, ტრენინგების, ფორუმების, ვორკშოპების ორგანიზება	ახალგაზრდების მიერ ჩატარებული მოხალისეობრივი ღონისძიებების რაოდენობა	5	10	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა;	ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების რაოდენობა	10	20	ღონისძიება	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ახალგაზრდობის კულტურულ-შემოქმედებითი და მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დასუფთავებისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველყოფა, ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება;	მოხალისეობრივი ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	50	100	ახალგაზრდა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი
ახალგაზრდების საქართველოს ბანაკებში მონაწილეობის უზრუნველყოფა	მოხალისეობრივი ღონისძიებებში ჩართული ახალგაზრდების რაოდენობა	60	100	ახალგაზრდა	10%	განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახური	სტატისტიკური	ფორს-მაჟორი

ახალგაზრდობის ცნობიერების ამაღლება და მოხალისეობრივი საქმიანობის ხელშეწყობა
05 03 03

ქვეპროგრამის აღწერა:

ახალგაზრდების ინფორმირება და ცნობიერების ამაღლება ა) ცხოვრების ჯანსაღი წესის, ბ).ბულინგის, ოჯახური ძალადობის, გ).პროფესიული განათლების მიღების, დ). კარიერის

რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა 05 04

პროგრამის აღწერა:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის და შენარჩუნების მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია-მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძრისა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII -საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. დროდადრო ტაძრები საჭიროებენ რესტავრაციას და რეაბილიტაციას.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ფინანსური მხარდაჭერა. კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
უზრუნველყოფილია რელიგიური ორგანიზაციების მხარდაჭერა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და შენარჩუნება	რეაბილიტაციის ღონისძიებების რაოდენობა	5	5	5	5	5	ღონისძიება	2%	ეპარქიის განვითარების ფონდი	სტატისტიკური	პანდემია
	რელიგიური ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულება	1	1	2	2	2	ხელშეკრულება	50%	ოპრიდიული სამსახური	სტატისტიკური	პანდემია

რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა 05 04 01

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტში რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა განხორციელდება კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობის მიზნით.

ქვეპროგრამის მიზანი:

რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, კულტურული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები	დაფინანსებული რელიგიური ორგანიზაციების რაოდენობა	1	1	რაოდენობა	0	მერია	ხელშეკრულება	პანდემია

ეკლესია-მონასტრების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები 05 04 02

ქვეპროგრამის მიზანი:

კულტურული მემკვიდრეობის დაცვა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებით.

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე XI-XVII საუკუნეებში აგებული რამდენიმე ტაძარია (აჭის, ლიხაურის, ჯუმათის, შემოქმედის, კონჭკათის), რომელთაც გააჩნიათ უმნიშვნელოვანესი კულტურული-რელიგიური მნიშვნელობა და ისტორია. ეს ტაძრები ქართული ხუროთმოძღვრების ნიმუშებია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მინიმუმ 2 ობიექტის რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ფინანსურად მხარდაჭერილი არიან რელიგიური ორგანიზაციები.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურე პროგრამა:

მიზანი 11 - მდგრადი ქალაქები და დასახლებები.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2022 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2023 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ეკლესია-მონასტრების ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება	განხორციელებული სამუშაოების რაოდენობა	2	2	რაოდენობა	0%	მერია; რელიგიური ორგანიზაციები	მიღება-ჩაბარების აქტები	პანდემია

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 06 00

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქების კუთხით მუნიციპალიტეტი ახორციელებს სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 749,0	2 349,0	2 531,0	2 546,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1 317,0	1 130,0	1 141,0	1 149,0
06 01 01	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	245,0	270,0	291,0	219,0
06 01 02	მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება (060102)	350,0	300,0	280,0	350,0
06 01 03	თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება (060103)	70,0	70,0	60,0	60,0
06 01 04	ლექემიით და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება (060104)	360,0	300,0	300,0	300,0
06 01 05	გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება (060105)	240,0	130,0	150,0	160,0

06 01 06	მვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება (060106)	52,0	60,0	60,0	60,0
06 02	სოციალური მხარდაჭერის პროგრამა	1 432,0	1 219,0	1 390,0	1 397,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება (060201)	16,0	70,0	70,0	70,0
06 02 02	დღის ცენტრის დაფინანსება (060202)	51,0	50,0	55,0	60,0
06 02 03	დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვთა ერთჯერადი დახმარება (060203)	20,0	20,0	20,0	20,0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დახმარება (060204)	372,0	280,0	320,0	320,0
06 02 05	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადადგილებულ პირთა დახმარება (060205)	14,0	20,0	20,0	20,0
06 02 06	სარიტუალო დახმარება (060206)	50,0	65,0	65,0	65,0
06 02 07	ოფიციალური დადგენილი დღეების აღსანიშნავად სოციალური მხარდაჭერა (060207)	70,0	30,0	30,0	30,0
06 02 08	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დახმარება (060208)	400,0	300,0	350,0	350,0
06 02 09	მზრუნველობამოკლებულთა ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა (060209)	250,0	220,0	260,0	250,0
06 02 10	სოციალური სერვისების მიმწოდებელი ორგანიზაციების თანადაფინანსება (060210)	29,0	30,0	30,0	35,0
06 02 11	სოციალურად შეჭირვებული ოჯახებში ახალშობილის (0-დან 1 წლამდე) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შეძენისათვის ყოველთვიური დახმარება (060211)	40,0	70,0	70,0	70,0
06 02 12	გენდერულ საკითხთა, ძალადობის მსხვერპლის ან დაზარალებულის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური მხარდაჭერა, 18-წლამდე ასაკის ბავშვთა უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	100,0	34,0	70,0	70,0
06 02 13	სოციალური მიზნის მქონე პროექტების თანადაფინანსება	20,0	30,0	30,0	37,0

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა 06 01

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა.

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

პროგრამის ინდიკატორი:

საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი გეგმვა)	2024 წელი	2025 წელი	2026 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე	ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (კალო კვი)	50%/50%	50%/50%	50%/50%	50%/50%	50%/50%	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების	მონიტორინგი	?
	ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების რაოდენობა	6	6	6	6	6	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების	მონიტორინგი	?

ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი 06 01 01

ქვეპროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა და სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი

ქვეპროგრამის აღწერა:

მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის

მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმხორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებისა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური

მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.

ეპიდემიოლოგიური კონტროლი ადგილობრივ დონეზე, არსებული რეგულაციების მონიტორინგი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
შედეგი 1: უზრუნველყოფილია გადამდებ დაავადებათა პრევენციისა და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა	ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედების თაობაზე მოსახლეობის ინფორმირება	55	65	%	5%	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	სტატისტიკური	ფორსმაჟორი
შედეგი 2: უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი	სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის კონტროლი	80	85	%	5%	ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი	სტატისტიკური	ფორსმაჟორი

მოქალაქეთა სამედიცინო დახმარება 06 01 02

ქვეპროგრამის მიზანი:

მოსახლეობისათვის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის გეგმიური სტაციონარული სამედიცინო მომსახურების, თანაგადახდის დაფინანსებაზე ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული მოქალაქეების მედიკამენტების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარება, კერძოდ:

ა) მოქალაქეებს, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში“ სარეიტინგო ქულით 0-დან 150001-მდე, მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით;

ბ) ვეტერან ქალბატონებს (ომის მონაწილე), მედიკამენტების შესაძენად, გაეწევათ ერთჯერადი ფინანსური დახმარება ფარმაცევტულ დაწესებულებაში თანხის ჩარიცხვით, არაუმეტეს 100 ლარის ოდენობით.

2). ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0-დან 150 000-მდეა, სამედიცინო მომსახურების ხარჯების თანადაფინანსება, გარდა სტომატოლოგიური მომსახურების შემდეგი სახეებისა: თერაპია, ორთოდონტია და ორთოპედია, კერძოდ:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ პირებს და შშმ ბავშვებს (18 წლამდეა) თუ ასანაზღაურებელი თანხა არ აღემატება 150 ლარს დაფინანსება მოხდება სრულად.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ბენეფიციარის მიერ ასანაზღაურებელი თანხა აღემატება 150 ლარს, მაშინ დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) თანაგადახდის ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანიის) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 50%-ის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი;

გ) იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს თანაგადახდა (საყოველთაო ჯანდაცვა, კერძო კომპანია), ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, ასეთ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 500 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 150 ლარი.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობისთვის უზრუნველყოფილია სამედიცინო მომსახურების და მედიკამენტების ხარჯების თანადაფინანსება	ბენეფიციართა რაოდენობა	1320 (მათ შორის, ქალი 60%, კაცი 40%)	1400 (მათ შორის, ქალი 60%, კაცი 40%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით	სერვისების არსებობაზე ინფორმაციის ნაკლებობა

თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება 06 01 03

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა მხარდაჭერა

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირებს, რომლებიც ჩართული არიან დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში საჭიროებენ დიალიზის კურსის ჩატარებას, უფლება აქვთ ისარგებლონ კვარტალში ერთხელ ფულადი დახმარებით 300 ლარის ოდენობით, ხოლო სოფლად მცხოვრები ბენეფიციარებისათვის 350 ლარის ოდენობით ტრანსპორტირებისათვის. ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ტრანსპორტირებისათვის ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით. დიალიზის პროგრამა ხორციელდება ქ. ოზურგეთში, ხოლო პერიტონიალურ შემთხვევაში ადგილზე არ ხდება ბენეფიციარის მომსახურება და უწევთ სხვა ქალაქში ტრანსპორტირება.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ხელშეწყობილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა სამედიცინო მომსახურების მიღება	ბენეფიციართა რაოდენობა	50 (მათ შორის, ქალი 20, კაცი 30)	50 (მათ შორის, ქალი 25, კაცი 25)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	მანძილი და გადაადგილების პროგრამა

ონკოლოგიური დაავადების მქონე პირების დახმარება 06 01 04

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის დამატებით სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობა.

ქვეპროგრამის აღწერა:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, ავთვისებიანი სიმსივნით დაავადების მქონე პირებისათვის, საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას, პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ან/და სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% არ აღემატება 200 ლარს, ანაზღაურება მოხდება მოთხოვნილი თანხის სრული ოდენობით.

ბ) იმ შემთხვევაში, როცა სახელმწიფო ან/და სხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40% მეტია 200 ლარზე, შემთხვევის დაფინანსება მოხდება საყოველთაო ჯანდაცვის (სადაზღვევო კომპანია) ფარგლებში არსებული ტარიფით განსაზღვრული სახელმწიფოს (სადაზღვევო კომპანია) მიერ ასანაზღაურებელი თანხის 40%-ის, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა. დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი. ხოლო, ყოველ შემდეგ შემთხვევაზე, იმავე მოქალაქის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, მხოლოდ დაფინანსების ზედა ზღვარი იქნება 500 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი.

გ) იმ შემთხვევაში, როცა არ არსებობს თანაგადახდა, ანუ თუ მკურნალობის ხარჯები მთლიანად პაციენტის დასაფარია, პირველ ჯერზე დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის ნახევრის, მაგრამ არაუმეტეს 700 ლარისა, დაფინანსების ქვედა ზღვარია 200 ლარი, ხოლო ყოველ შემდეგ შემთხვევაზე იგივე მოქალაქის დაფინანსება მოხდება ანალოგიურად, ოღონდ ასანაზღაურებელი თანხის ზედა ზღვარი იქნება 500 ლარი, ხოლო ქვედა ზღვარი 200 ლარი.

დ) ონკოლოგიური დაავადების სამკურნალოდ (მედიკამენტები და სხვა დანიშნულების საგნები), ბენეფიციარები ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, მიიღებენ დახმარებას უნაღდო ანგარიშსწორებით, ფარმაცევტულ დაწესებულებებში, ინვოისით წარმოდგენილი თანხის შესაბამისად, მაგრამ არაუმეტეს 250 ლარისა.

ე) ოზურგეთის მუნიციპალიტეტში 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული ძუძუს კიბოს დიაგნოზის მქონე პირთა მედიკამენტების

(ჰერცეპტინი, პერჯეტა, ლაპატინი, ტაივერბი, ფესგო ან სხვა ძვირადღირებული ონკოლოგიური პრეპარატი) თანადაფინანსება, თანხის ოდენობა განისაზღვროს წლის განმავლობაში, არაუმეტეს 4000 ლარისა;

ვ) ავთვისებიანი სიმსივნის მქონე პირებისათვის მედიკამენტის (ზომეტა) თანადაფინანსება, თანხის ოდენობა განისაზღვროს წლის განმავლობაში, არაუმეტეს 1000 ლარისა;

2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, კეთილთვისებიანი სიმსივნით, ან/და დაუდგენელი დიაგნოზის მქონე პირებისათვის (სამედიცინო მომსახურება, გამოკვლევები) საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, სამედიცინო დაწესებულებებში, სამედიცინო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებაში დახმარებას, პროგრამა გულისხმობს ბენეფიციარებისათვის მკურნალობის ხარჯების თანაგადახდას, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როცა საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ასანაზღაურებელი თანხის შემდეგ, პაციენტის დასაფარი თანხა 1000 ლარამდეა, დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის 40%-ით.

ბ) იმ შემთხვევაში, როცა საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ასანაზღაურებელი თანხის შემდეგ, პაციენტის დასაფარი თანხა 1001 ლარზე მეტია, დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 600 ლარისა;

4) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2024 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული, ონკოლოგიური დაავადების მქონე პირებისათვის, ექიმის დანიშნულებით, წელიწადში ერთხელ, მოთხოვნის შესაბამისად, PET/CT- პოზიტრონ-ემისიური ტომოგრაფიის თანადაფინანსება, რომელიც განისაზღვრება ბენეფიციარის ასანაზღაურებელი თანხის 70%-ის, მაგრამ არაუმეტეს 2500 ლარისა;

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

უზრუნველყოფილია ლეიკემიისა და ონკოლოგიური დაავადების მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ონკოლოგიური დაავადების და მუქუს კბოს დიაგნოზის მქონე პირთა სამედიცინო სერვისების თანადაფინანსება	ბენეფიციართა რაოდენობა	300 (მათ შორის, ქალი 60%, კაცი 40%)	320 (მათ შორის, ქალი 60 %, კაცი 40%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მოქალაქეთა განცხადებების მიხედვით	შესაბამის ექიმ სპეციალისტის მიერ გაცემული დოკუმენტაციის წარმოდგენლობა

გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება 06 01 05

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეებისთვის გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის აღწერა:

1) გადაუდებელი და არაპროგრამული რეფერალური (სასწრაფო დაუყოვნებელი ან/და სასწრაფო დაყოვნებული ინტერვენცია) სამედიცინო მოსახურების დროს, სამედიცინო დაფინანსება, რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, განისაზღვროს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით. კერძოდ:

ა) იმ შემთხვევაში, როცა საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ასანაზღაურებელი თანხის შემდეგ, პაციენტის დასაფარი თანხა 1000 ლარამდეა, დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის 40%-ით. დაფინანსების ქვედა ზღვარი განისაზღვროს 100 ლარის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, როცა საყოველთაო ჯანდაცვის მიერ ასანაზღაურებელი თანხის შემდეგ, პაციენტის დასაფარი თანხა 1001 ლარზე მეტია, დაფინანსება მოხდება წარმოდგენილი თანხის 50%-ით, არაუმეტეს 600 ლარისა;

2) გამონაკლის შემთხვევაში – პაციენტების საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსება. რომელიც განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება

ვერ ხერხდება საქართველოს სამკურნალო პროფილაქტიკურ დაწესებულებებში. რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შეაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

მომსახურების სარგებლობის უფლება ენიჭებათ 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უწყვეტად რეგისტრირებულ 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებს სადაც მისი ერთ-ერთი მშობელიც რეგისტრირებული უნდა იყოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტში.

ბენეფიციარებს პროგრამის ფარგლებში დაუფინანსდებათ სამედიცინო მომსახურების ღირებულების (წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით) 80%, მაგრამ არაუმეტეს 5000 ლარისა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან გადაუდებელი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებით	ბენეფიციართა რაოდენობა	250 (მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%)	250 (მათ შორის ქალი 50%, კაცი 50%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	არასწორი სამედიცინო დასკვნა

ძვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება
06 01 06

ქვეპროგრამის მიზანი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა ძვირადღირებულ კვლევების თანადაფინანსება.

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამა ითვალისწინებს:

დვირადღირებული კვლევის (კომპიუტერული ტომოგრაფიის) ერთჯერადი დაფინანსება რაც ითვალისწინებს: 1.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოლისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 200 ლარის ფარგლებში დვირადღირებულ კვლევაზე (კომპიუტერული ტომოგრაფია და ეზოფაგოგასტროდუოდენოსკოპია).

2. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, ასევე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოლისით წარმოდგენილი თანხის 90 % არაუმეტეს 300 ლარის ფარგლებში დვირადღირებულ კვლევაზე (მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია).

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირებს, რომელთა ოჯახების სარეიტინგო ქულა 0-დან 150 001-მდეა და ასევე ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ვეტერანებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შშმ სტატუსის მქონე პირებს და შშმ ბავშვებს, საჭიროების შემთხვევაში ეძლევათ საშუალება მიიღონ თანადაფინანსება ინვოლისით წარმოდგენილი თანხის 50 % არაუმეტეს 500 ლარის ფარგლებში დვირადღირებულ კვლევაზე (კორონაროგრაფია, ანგიოგრაფია). ასევე გამონაკლის შემთხვევებში სხვა დვირადღირებული კვლევების თანადაფინანსება, ოზურგეთში რეგისტრირებული იმ პირებისა, რომელთა ოჯახების სოციალური სარეიტინგო ქულა 0- დან 150001- მდეა (200 ლარამდე კვლევები დაფინანსდება 90%-იანი თანაგადახდით, 200 ლარის ზემოთ ღირებულების კვლევები დაფინანსდება 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა).

4. ბენეფიციარებს, რომელთაც აღნიშნული კვლევები მთლიანად ან ნაწილობრივ უფინანსდებათ საყოველთაო ჯანდაცვის ფარგლებში ან რომელიმე სადაზღვევო კომპანიის მიერ, კარგავენ ამ მუხლით სარგებლობის უფლებას.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ხელმისაწვდომია ბენეფიციარებისთვის დვირადღირებული კვლევების ჩატარება.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 3 - ხელმისაწვდომი ჯანდაცვა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგ	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მიზნობრივი მაჩვენებელი)	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოგროვების მეთოდი	რისკი
ოზურგეთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრები მოქალაქეების საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი არიან ძვირადღირებული კვლევების თანადაფინანსებით	ბენეფიციართა რაოდენობა	350 (მათ შორის ქალი 50%, კაცი 50%)	260 (მათ შორის ქალი 50%, კაცი 50%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების განყოფილება	მონიტორინგი	დოკუმენტაციის მოუწესრიგებლობა

სოციალური მხარდაჭერის პროგრამა 06 02

პროგრამის აღწერა:

პროგრამის ფარგლებში არსებული 13 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება.

პროგრამის მიზანი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი:

მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა;

მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა;

მიზანი 10 - შემცირებული უთანასწორობა.

პროგრამის ინდიკატორი:

სახელო შედეგი	სახელო შედეგის შეფასების ინდიკატორი										
	ინდიკატორის დასახელება	2023 წელი (საბაზისო მაჩვენებელი)	2024 წელი (მონიტორინგი მაჩვენებელი)	2025 წელი	2026 წელი	2027 წელი	ზომის ერთეული	ცდომილების ალბათობა (%)	მონაცემთა წყარო	მონაცემთა მოტოვების მეთოდი	რისკი
მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა	სოციალური პროგრამები და სერვისები	13	13	13	13	13	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	მონიტორინგი	სერვისის მიწოდებულ ორგანიზაციების არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება
უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით	სოციალური პროგრამების ბენეფიციართა საერთო რაოდენობა (მათ შორის, ქალებისა და კაცების წილი)	(მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%)	(მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%)	(მათ შორის ქალი 50%, კაცი 50%)	(მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%)	(მათ შორის ქალი 50 %, კაცი 50%)	რაოდენობა	10%	ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისები განყოფილება	მონიტორინგი	სერვისის მიწოდებულ ორგანიზაციებს არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულება

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება 06 02 01

ქვეპროგრამის აღწერა:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2023 წლის 1 იანვრისთვის რეგისტრირებულ მრავალშვილიან ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულით 120 000-დან და 150 001-მდე, ყოველთვიურად დახმარება გაეწევა თითოეულ ბავშვზე 25 ლარის ოდენობით წერილობითი მომართვიანობის საფუძველზე. ოთხშვილიან ოჯახს ერთ-ერთი შვილის 18 წლის ასაკის შესრულებისას ეხსნება დახმარება და ხდება ჩანაცვლება მომლოდინეთა სიიდან. ყოველწლიურად მრავალშვილიანი ოჯახებისთვის დახმარებების გაცემა ხდება ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. დახმარება გაიცემა განცხადების შეტანის რიგითობის მიხედვით. სახელმწიფო სოციალური პროგრამით უზრუნველყოფილი არიან სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები ფინანსური მხარდაჭერით. თუმცა, ეს პროგრამა ვრცელდება მხოლოდ 0-დან 120000 სარეიტინგო ქულამდე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში შექმნილი მძიმე სოციალური ფონის გათვალისწინებით მოსახლეობის მომართვიანობის საფუძველზე.

ქვეპროგრამის მიზანი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახები უზრუნველყოფილი არიან საბაზისო ფინანსური დახმარებით.

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა:

მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა;

მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა.

ქვეპროგრამის ინდიკატორი:

შუალედური შედეგი	შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი							
